ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის თვეში ორჯერ № 19 (1807) 3 დეკემბერი, 2003 •

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ნათაძე: გვ. 2

„ნინო ბურჯანაძემ დაუყოვნებლივ უნდა შექმნას საქართველოს სახელმწიფო კომისარიატი“

„...თუ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს საკადრო ცვლილებათა უფლება არ აქვს, მან დაუყოვნებლივ უნდა შექმნას საქართველოს სახელმწიფო კომისარიატი, — თუნდ დროებითი კომისიის სახით, — რათა ყოველ კომისარს ერთი ან რამდენიმე სამინისტროს კურატორობა ეკისროს. წინააღდეგ შემთხვევაში ის წითელი „აღმასრულებლები“ „ქვევიდან“ შეჭამენ იმ კანონმდებელ ორგანოს, რომელიც უნდა აირჩეს. ასეთი კომისარიატის შექმნა მართლაც რევოლუციური ნაბიჯი იქნება - ერთადერთი მართლაც რევოლუციური, ანუ არა მხოლოდ კანონის სახელით მოქმედი, არამედ აგრეთვე კანონის დამრღვევი ნაბიჯების შემცველი ცვლილება პოლიტიკურ ვითარებაში“.

გიორგობიდან ქრისტეშობამდე

გვ. 3

კარიკატურა: მურთაზ აბაშიძისა

ხვეჯის ეპიპარეა ციხით უნდა ისჯებოდეს

გვ. 3

წიგნის რეცენზია გვ. 5

ღაუშვებელია სახელმწიფო საქმეთრებაში პრსებული მინების მაყიდვა



აშშ სახმელეთო ჯარების ოფიცერთა ჯადრების მომზადება

აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

გვ. 6

www.opentext.org.ge/sakart

ნოდარ ნათაძე:
„ნინო ბურჯანაძემ დაუყოვნებლივ უნდა შექმნას საქართველოს სახელმწიფო კომისარიატი“

— ბატონო ნოდარ, რა აზრის ხართ შევარდნაძის გასამართლების საკითხზე? იგი არ წამოჭრილა, მაგრამ თუ წამოიჭრება, როგორი იქნება თქვენი წინადადება?

– მე მიმაჩნია, რომ ეს საჭიროა. პრინციპულად საჭიროა იმიტომ, რომ პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს. ერმა უნდა იცოდეს და მომავალმა პოლიტიკოსებმა უნდა იცოდნენ, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედება დასჯადია. პრაქტიკულად კი საჭიროა იმიტომ, რომ ამით მრავალი ე.წ. „შავი ყუთი“ გაიხსნება იმ კატასტროფებისა, რაც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა შევარდნაძის ხელში. ამ „ყუთების“ გახსნა კი ჩვენ მძლავრ იარაღს მოგვცემს არა ერთი ასეთი კატასტროფის შედეგთა გამოსწორებისათვის. აბა, ერთი წარმოვიდგინოთ, რა უპირატესობას მივიღებთ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის თვალში, თუ გაიხსნება შევარდნაძისა და არძინბას შეთქმულება აფხაზეთში ომის ორგანიზების შესახებ, რომელსაც მოსკოვი მართავდა და მართავს! რა შუქს მოჰფენს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბნელ ფურცლებს იმის გამჟღავნება, რა მოტივაციით და რა პროცედურით მიიღებოდა შეთანხმებები და მოსკოვური ინსტრუქციები სამეგრელოს რაიონთა წინასწარი დარბევის შესახებ აფხაზეთის ომისათვის ზურგის მორღვევის მიზნით! როგორია რუსეთის დღემდე მოსული ინსტრუქციები საქართველოს ტერიტორიული სხეულის დესტრუქციების შესახებ, რომელ წლებში, რა თანამიმდევრობით და რა სიტყვებით! ბევრი რამ გამოჩნდება, რა თქმა უნდა, ისეთიც, რაც საქართველოს ქონების მუქთად გასხვისებასა თუ სესხების განიავებას ეხება და რაც ჩვენს ქვეყანას შეაძლებინებს, ის ზარალი ნაწილობრივ მაინც ამოიღოს. შევარდნაძეს თუ ტყავი და ქონება უნარჩუნდება, ამის მიზეზი ისიცაა – ან ძირითადად ისაა, – რომ მისი მაქინაციებიდან სასამართლოს – თუკი იგი შედგა, – შეუძლია, მრავალ და მრავალ სხვა ძალებზეც „გავიდეს“, რომელთაც დღეს არაფერი ემუქრება.

— გამოთქმა „ხავერდოვანი რევოლუცია“ თუ გეჩვენებათ სწორად?

– დიახ, მეჩვენება. „ხავერდოვანი“ იმიტომ, რომ, მადლობა ღმერთს, უსისხლოდ ჩაიარა. ყველაზე დიდი შიში, მართალი გითხრათ, მე პირადად 22 ნოემბერს მქონდა. სახელდობრ, მეშინოდა, რომ ბათუმელ პოლიციას ხალხში ასროლინებდნენ, თბილისელ პოლიციას კი –ბათუმელი პოლიციისათვის, ვითომც და წესრიგის აღდგენის მიზნით. მოქმედ პირთა სრულისკვეთებას, ჩემის აზრით, სწორედ ამგვარი მოქმედება შეესაბამებოდა. ეს სცენარული ჯაჭვი, მე მგონი, დასაწყისშივე გაუწყდათ – იქ, სადაც ბათუმის პოლიციისა და მასის დაძმობილება მოხდა.

— როგორია, თქვენის აზრით, შევარდნაძის ჩამოგდების მექანიზმები და პოლიტიკური შედეგები?

– პრინციპული შედეგები ძალიან დიდია. ეს არის საქართველოში საბჭოთა ეპოქის რიალური დასასრული. შევარდნაძის „დემოკრატიული“ (ანუ 1992 წლიდან გუშინდლამდე) მმართველობა, თავისი პირადი შემადგენლობითურთ, იმ ძველი სტალინური მმართველობის კარიკატურა იყო. ე.წ. „გარდამავალი პერიოდი“ ახლაღა იწყება. რაც შეეხება მექანიზმებს, მათი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი მაინც არის ხალხში დაგროვილი წმინდა რისხვა, რომელმაც იფეთქა ძალიან დიდი ნაპერწკლის – არჩევნების გამომწვევი გაყალბების – გამო. მდგომარეობა, როგორც იტყვიან, წკიპზე იყო მისული: იგი ან რევოლუციად უნდა განვითარებულიყო, ან მონურ აპათიად მომავალი ერთი ან ორი ათწლეულისათვის. ყველაზე თვალში საცემი, რაც ამ რამდენიმე დღის განმავლობაში გამოჩნდა, იყო ჩემის აზრით, ხალხის მასის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხარისხი. ეს არ იყო მასა მხოლოდ ამ სიტყვის ფიზიკური გაგებით – ეს იყო საზოგადოება, ხალხი, ერი, მიზანმიმართულად და ცნობიერად ქუჩაში გამოსული მართლაც დიდი ამოცანის გადასაწყვეტად. რაც მთავარია, ეს კრიტიკული აზრით მოქმედი და ფიზიზელი მასა იყო. ლიდერობაც, ჩემის აზრით, ძალიან მაღალ შეფასებას იმსახურებს. მოქმედება მკაფიოდ მიზანმიმართულიც იყო: ექსცესიც, რამდენადაც ვიცი, არსად არანაირი არ მომხდარა.

— საგარეო ფაქტორზე რას იტყვით?

– მისი როლი, მე მგონი, დიდი იყო და არის. მის დასახასიათებლად, თუნდაც ხუმრობით, შეგვიძლია არისტოტელეს ტერმინი ვიხმაროთ – „უძრავი მამოძრავებელი“. საქართველომ იცოდა და იცის, რომ მის მიერ ყოველად ულმობელი და მოღალატე დიქტატორის დამხობას მსოფლიოს მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების მხრიდან უყოყმანო მხარდაჭერა აქვს. ამ ცოდნას, სხვათაშორის, ძალიან ხელს უწყობდა დასავლეთის პრესის მასალათა პუბლიკაციაც „რუსათვი 2“-ის მიერ, რაც მკაფიოდ უდასტურებდა მაყურებელს, რომ მსოფლიოს ჩვენი დროგადასული დიქტატორი „ჩამოწერილი“ ჰყავს. ისიც ნათელი იყო ჩვენი მრავალათეულათასიანი მასისათვის და შინ დარჩენილებისათვის, რომ რაც ხდება, დასავლეთისთვის პოლიტიკურად მისაღებია. მე ამ ვითარების გამოსახატავად ასეთი აზრი შემექმნა და ახლაც მას ვადგავარ: ის, ვინც ამ აქციას სათავეში ედგა – მ. სააკაშვილი და პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ – საქართველოში დღეს სწორედ ის ჯგუფია, რომლის ხელითაც შევარდნაძის მოცილება დასავლეთისთვის მისაღებია. შევარდნაძის სხვა დაუმონებულ მოწინააღმდეგეთა ხელით, სახელდობრ, იმ ტრადიციული პატრიოტების ხელით, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად გამოვიდნენ ბრძოლის ველზე ამ რამდენიმე წლის წინ და ამჟამად საქართველოს, როგორც ეროვნული დემოკრატიული სახელმწიფოს, შექმნისთვის იბრძვიან, შევარდნაძის დამხობის მომხრენი დასავლელები არ იქნებოდნენ და, მე მგონი, არც დღეს არიან. ასეთია ფაქტობრივი ვითარება. საქართველომ, მადლობა ღმერთს, ეს ვითარება რეალისტურად, სწორედ, და, მე მგონი, სრულად ან თითქმის სრულად გამოიყენა.

— რას ნიშნავს „ეროვნული დემოკრატიული სახელმწიფო“? ხომ არ დაგვისახელებთ მის ორიოდე სპეციფიკურ ნიშანს მაინც?

– ეს არის სახელმწიფო, რომელიც დღევანდელ ვითარებას განიხილავს არა მხოლოდ როგორც დღეს დედამიწაზე არსებული სიტუაციის (პოლიტიკურის, ეკონომიკურის, ეკოლოგიურის, დემოგრაფიულის, კულტურულის...) ერთ-ერთ ნაწილს, არამედ აგრეთვე როგორც თავისი წარსული და მომავალი ისტორის ერთ-ერთ მომენტს, რის გამოც იგი თავისი პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ორიენტირად თავისი ერის დიდმასშტაბიანსა და გრძელვადიან ინტერესებს იხდის. ასეთი სახელმწიფოს მიზანთა შორის ერთ-ერთ მიზნად ფიგურირებს – საქართველოს მაგალითზე, რომ ვთქვათ, – ობიექტური პირობების შექმნა, საქართველოს მარადიულყოფისათვის, როგორც

– დამოუკიდებელი სახელმწიფოსი,

– ამა და ამ საზღვრებში (1989) მყოფი სახელმწიფოსი,

– სახელის „საქართველო“ მატარებელი სახელმწიფოსი, და

– ქართული სახელმწიფოსი, ანუ ისეთისა, რომელიც თავის მოქალაქესთან კომუნიკაციას ქართული ენით ახორციელებს.

აბა, ცადეთ და ყველა იმ პოლიტიკოსს, რომელიც დღეს თავს პატრიოტად თვლის, ხელი მოაწერინეთ ამ ფორმულირებათა (თუნდ ამ სიტყვებით და თუნდ სხვა სიტყვებით) შემცველ ქაღალდზე! ძალიან გაგიჭირდებათ, ისევე როგორც, სხვათა შორის გაგიჭირდებათ მათი თანხმობის მიღება იმაზე, რომ სახელმწიფოს როლი ეკონომიკური პროცესებისა და სხვა შინაგანი პროცესების მართვაში რაგინდარა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ძალიან დიდია, (გაგიჭირდებათ მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტება – „რაც უფრო განვითარებულია და დემოკრატიულია სახელმწიფო, მით უფრო დიდია მისი ხელისუფლების როლი მასში მიმდინარე პროცესების მართვაში“ დღეს ანბანურ ჭეშმარიტებათა რიცხვს ეკუთვნის).

— შეგიძლიათ დაასახელოთ კონკრეტულად, რას მოითხოვს საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობა დღეს, მაგრამ არ მოითხოვს იმ, თქვენის აზრით, დემოკრატიული, მაგრამ არა ეროვნული სახელმწიფოს „შენებლობის“ პროგრამა? მადლობელი ვიქნებით, თუ რამდენსამე მაგალითს გვეტყვით საქართველოს პირობებში.

– დიახ, შემიძლია პოზიტივის მიმართულებითაც და ნეგატივის მიმართულებითაც. პოზიტივის მიმართულებით დაგისახელებთ:

– საქართველოს დაუყოვნებლივ დეოკუპაციას (რუსეთის შეიარაღებულ ძალთა გაყვანას), „ესეგენდან“ გამოსვლას, აფხაზეთის პრობლემის ინტერნაციონალიზაციაზე ხელის აღებას სხვაგვარად თუ არ როგორც საქართველოზე რუსეთის აგრესიის პრობლემასა, საქართველოში აფხაზეთის და ცხინვალის ზონის სტატუსის ზუსტსა და სავსებით არგუმენტირებად განსაზღვრას და მის შეტანას საქართველოს კონსტიტუციაში.

– საქართველოს ჰესების რენაციონალიზაციას (დაბრუნებას სახელმწიფოს ხელში), იაფი ენერგობაზრის და საკრედიტო ბაზრის შექმნას და საგადასახადო სისტემის რეფორმას, რაც გარანტირებულად (ხაზს ვუსვამ! გარანტირებულად) გააცოცხლებს წარმოებას.

– სახელმწიფოს ძალისხმევით და საბაზრო ეკონომიკის ჩარჩოების სრული დაცვით: საქართველოში ძირითად საკვებ პროდუქტთა სტრატეგიულად დამაკმაყოფილებელი წარმოებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნას, ფუნდამენტური განათლების (და მის ბაზად-ფუნდამენტური მეცნიერების) განვითარებას, რათა გადაწყდეს თანამედროვე ტექნოლოგიების დონეზე ყოფნის პრობლემა, ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალების და მათთვის საჭირო წარმოების შექმნას (მეგობარი ქვეყნების მიერ გაწვრთნილი ქვედანაყოფების შექმნის პარალელურად.

მაგალითებად, მე მგონი, ესეც კმარა.

ნეგატივის მიმართულებით გეტყვით შემდეგს: დაუშვებელია:

– საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის შემოღება (რადგან ამით უცხო ძალას ეძლევა უცხომოქალაქეობამიღებულ უზარმაზარ მასივთა მართვის და აგრესიული „დაცვის“ საშუალება.

ფედერალური სახელმწიფო წყობის შემოღება (რადგან ამით ორ თანაბარ წაიშლება საქართველოც და ქართული ეროვნული ცნობიერებაც).

– სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა უცხოელებზე (რადგან ამით რამდენიმე წელიწადში მთელი მიწა უცხოელთა ხელში გადადის, საქართველოში შემოდის უცხო სამუშაო ძალა და ქართველი ხალხი რჩება სამუდამოდ უმუშევრობასა და ბოგანოობაში).

– 2012 წლისათვის ევროსაბჭოს ეგიდით იმ მუსლიმანთა შთამომავლების განუკითხავი შემოსახლება, რომლებიც საქართველოდან და სომხეთიდან იყვნენ დეპორტირებულნი სსრკ ხელისუფლების მიერ 1944 წელს.

მაგალითად, მე მგონი, ეს ამ შემთხვევაში კმარა.

— დღეს გამარჯვებული პოლიტიკური ძალის – მადლობა ღმერთს, გამარჯვებული ძალის – „ნაციონალების“ მომავალ საქმიანობაში თქვენ ამ პრინციპებისადმი ერთგულებას ხედავთ?

– ზოგისადმი – კი, ზოგისადმი – არა.

— ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ქართველი პარტიოტები საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებელნი და მომხრენი ამ ძალას დაუპირისპირდებით მისი გახელისუფლების შემთხვევაში ანუ ხომ არ გამოითქმის ასეთი ფრაზა: „რევოლუცია მოხდა, გაუმარჯოს რევოლუციას!“?.

– არ ნიშნავს. მიზეზი ორია.

<u>პირველი:</u> ჩემი ვარაუდით, ჯერ ჯიდევ წინ გვიდევს კარგა ინტენსიური ბრძოლა შევარდნაძის წითელი დიქტატურის აღდგენის მცდელობასთან. მისი ხროვა მრავალრიცხოვანიცაა და ძალიან მდიდარიც. რუსეთი მათ ძალიან აქტიურად სთხოვს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ანუ საქართველოს წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას, ასე რომ, მათგან უახლესი თვეების მანძილზე, ალბათ, რამდენიმე შემოტევა მაინც მოხდება, რაც ყველა სხვა ამოცანას უკანა პლანზე გადაწევს.

<u>მეორეც:</u> ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის კონცეფციას უზარმაზარი უპირატესობა აქვს დავარცხნილ-დასუფთავებული და წყნარი, მაგრამ ეროვნულად უსახო და ისტორიულად უპერსპექტივო სახელმწიფოს მშენებლობის კონცეფციის წინაშე. პირველი მეორეს ადვილად გაანადგურებს ყველა დისკუსიაში ყველა აუდიტორიის წინაშე და ამით მოწინააღმდეგეს, როგორც იტყვიან, თავის სჯულზე მოაქცევს.

— თქვენ მართლა მოელით წინააღმდეგობას დამხობილი „შევარდნაძისტების“ მხრიდან თუ ამ შესაძლებლობას მხოლოდ ლოგიკური სისრულისათვის ახსენებთ?

– მართლა მოველი. არა მხოლოდ ვარაუდით, კანით მოველი. მწარე გამოცდილება მეუბნება, რომ არ შეიძლება, ფრჩხილისოდენად ენდოთ წითელ და ნაწითლარ აღმასრულებელ სტრუქტურებს. თუ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს საკადრო ცვლილებათა უფლება არ აქვს, მან დაუყოვნებლივ უნდა შექმნას საქართველოს სახელმწიფო კომისარიატი, – თუნდ დროებითი კომისიის სახით, – რათა ყოველ კომისარს ერთი ან რამდენიმე სამინისტროს კურატორობა ეკისროს. წინააღდეგ შემთხვევაში ის წითელი „ აღმასრულებლები“ „ქვეყიდან“ შეჭამენ იმ კანონმდებელ ორგანოს, რომელიც უნდა აირჩეს. ასეთი კომისარიატის შექმნა მართლაც რევოლუციური ნაბიჯი იქნება - ერთადერთი მართლაც რევოლუციური, ანუ არა მხოლოდ კანონის სახელით მოქმედი, არამედ აგრეთვე კანონის დამრღვევი ნაბიჯების შემცველი ცვლილება პოლიტიკურ ვითარებაში. ძალის მიყენების წერტილი, მე მგონი, სწორედ ეს უნდა იყოს. ძალის მიყენების გარეშე კი ხროვა პოზიციებს რეალურად არ დათმობს.

„საქართველო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო ეტაპი

ცალით უნდა ისეჯოღეს

ინტერვიუ
რომან გოცირიძესთან

— ბატონო რომან, „ხავერდოვანი რევოლუციის“ დასრულებისთანავე გახმაურდა, რომ საქართველოს ბიუჯეტს ახალი არჩევნების ჩატარების რესურსი არ გააჩნიათ. თქვენ როგორ შეფასებას მისცემდით ამ ფაქტს?

— ეს არასერიოზული განცხადება გახლავთ. არჩევნების ჩატარებას დიდი თანხები არ სჭირდება. ამის შესაძლებლობა ქვეყანას ყოველთვის ექნება. დღეანდელ ვითარებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იკვეთება — საერთაშორისო დახმარება. მომავალ არჩევნებს, უკვე ცნობილია, უცხოელები დააფინანსებენ.

— ერთთვიან ვადაში რადენადაა შესაძლებელი საარჩევნო სისტემის უზრუნველყოფა იმგვარად, რომ ყველა მოქალაქის ხმის მიცემის უფლება ამჯერად მაინც იყოს დაცული? წინა ხელისუფლების ცვლილებაც სწორედ ამ პრობლემის მოუგვარებლობამ არ განაპირობა?

— როგორი რთული ვითარებაც არ უნდა იყოს, საქართველოს კონსტიტუცია ითხოვს, რომ არჩევნები ჩატარდეს. უხარისხო სიები არჩევნების გადადების იურიდიული საფუძველი ვერ გახდება, თუმცა შესაძლებელია, მაქსიმალურად გამოსწორდეს შეცდომები. იდიალურად გამოსწორების შანსი არ არსებობს, თუმცა ყველა პრობლემა საპარლამენტო არჩევნების დროს უნდა მოგვარდეს. ამ ეტაპზე ხარვეზები, რა თქმა უნდა, იქნება.

— გაყალბებისაგან მაინც თუ ვართ დაცული?

— არჩევნების პროცედურა — საკანონმდებლო ბაზა და მასზე კონტროლი არჩევნების გაყალბების შესაძლებლობას ყოველთვის იძლეოდა და არც ახლაა გამორიცხული, დარღვევები იყოს. გაყალბების მცდელობის შემთხვევაში ბოლომდე დაცული ნადვილად არ ვართ. არჩევნები კარგად რომ ჩატარდეს და ხმების დათვლაც ზუსტად მოხდეს, საოლქო კომისიებში მაინც შესაძლებელია ოქმის ხელახლა გადაწერა. თითოეული ამგვარი ოქმის აღმოჩენა და გასაჩივრება სასამართლო პროცესის წლობით გაჭიანურებას გამოიწვევს. ჩვენთან არ არის შემუშავებული მექანიზმი, როდესაც გამყალბებელი ისჯება. ხმების მოპარვა ისევე ციხით უნდა ისჯებოდეს, როგორც ფულის მოპარვა.

— როგორც აცხადებენ, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში აჭარა მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე ახალ ხელისუფლებას არ ცნობს. თუ ეს მართლაც ასე მოხდება, იურიდიულად სადამდე მოგვიყვანს ეს ფაქტი?

— იურიდიულად ამას არანაირი შედეგი არ მოჰყვება. საქართველოში არჩევნები მაინც შედგება, რადგან ჩვენი კონსტიტუცია არ ითვალისწინებს არჩევნებში ცალკეული რეგიონების მონაწილეობის აუცილებობას, საუბარია ამომრჩეველთა გარკვეული რაოდენობის მოსვლაზე. თუმცა პოლიტიკურად ეს ძალიან ცუდი ფაქტი იქნება. მთლიანობაში ახლად არჩეული პრეზიდენტის ლეგიტიმურობას არანაირი საფრთხე არ შეექმნება, თუმცა ვინც ამას ჩაიდენს, იმას ძალიან მძიმედ დაუბრუნდება სამომავლოდ. ამაში იგულისხმება როგორც სამართლებრივი თვალსაზრისი, ისე პოლიტიკური. არავის აქვს უფლება, აჭარის მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობის უფლება წაართვას.

როცა არჩევნები დაინიშნება და საარჩევნო უბნები გაიხსნება, თუ მათ ვინმე იქ მისვლას აუკრძალავს, გამოუცხადებს საბოტაჟს, ის სისხლის სამართლის დანაშაულს ჩაიდენს. ვინც ამ პროვოკაციაზე წავა, დაპატიმრებული იქნება და დაისჯება.

— არსებული კონსტიტუცია, შეიძლება ითქვას, ერთი კაცისთვის დაწერილსა ჰგავს ანუ ექსპრეზიდენტ შევარდნაძის თარგზეა გამოჭრილი. რამდენადაა მოსალოდნელი, რომ არჩევნებამდე საკონსტიტუციო ცვლილებები მოხდება?

— კონსტიტუცია შექმნილ ვითარებაში ნადვილად არ არის დამნაშავე. როგორი კონსტიტუციაც უნდა გვქონოდა, შედეგი მაინც ამგვარი იქნებოდა. იყო სხვაგვარი კონსტიტუცია, სადაც შევარდნაძე სახელმწიფოს მეთაური გახლდათ, გახდა პრეზიდენტიც, არსებობდა მინისტრთა კაბინეტიც — მაგრამ მაშინაც პრემიერ-მინისტრის როლს ასრულებდა, ფაქტობრივად, და ღებულობდა უკანონო გადაწყვეტილებებს. ამიტომ კონსტიტუციურ უფლებებში ჩაიწერა, რომ მაინც ახდენს მთავრობაზე დიქტატს, ბარემ თავად იყოს მთავრობის ხელმძღვანელიც და პასუხისმგებლობაც თავადვე აიღოსო, მაგრამ ამითაც არაფერი გამოვიდა.

ასე რომ, მთელი ჩვენი უბედურება კონსტიტუციური წყობა კი არ არის, არამედ რეჟიმი, რომელიც შევარდნაძემ დაამყარა. შევარდნაძის შემდეგ ეს სისტემა დაიმსხვრევა. არსებითი მნიშვნელობა სახელმწიფოს მოწყობის მოდელს ამ შემთხვევაში არა აქვს.

— ქვეყანაში მძიმე ვითარებაა. კრიზისის დასაძლევად რა გზები გესახებათ, პირველად რა პრობლემებია გადასაჭრელი?

— ძალოვან სტრუქტურებს უნდა მივხედოთ. ადამიანმა თავი უნდა იგრძნოს დაცულად, ანუ უსაფრთხოების პრობლემა უნდა მოგვარდეს. პირველი და აუცილებელი ნაბიჯია ძალოვანი სტრუქტურების გათავისუფლება კრიმინალებისა და ნარკომანებისაგან. როგორც კი წესრიგი დამყარდება, ყველაფერი თავისით დალაგდება, დაეწყობა. მეორე საფეხური საფინანსო-საბიუჯეტო სფეროა. სასწრაფოდ უნდა მივხედოთ მას.

— დღეს არსებულ ვითარებას საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში როგორ კომენტარს გაუკეთებდით. რა დაგვიტოვა წინა ხელისუფლებამ და ექსაფინანსთა მინისრმა თუნდაც საახალწლოდ?

— ცარიელი ხაზინა და დანგრეული სისტემა — აი, ეს დაგვრჩა მემკვიდრეობად შევარდნაძისა და მისი ხელისუფლებისგან. როგორც იყო, ისევ ისეა გარღვეული ბიუჯეტი 200 მილიონით, სიტუაციას ართულებს ის ფაქტორი, რომ უცხოური დახმარებები და გრანტები შეგვიწყდა, ამიტომ კრიზისი უფრო მძაფრად გამოვლინდა. თუმცა ჩვენ იმედი გვაქვს, რომ წლის პირველი ნახევრიდან დიდძალი ოდნობით დახმარებები შემოვა უცხოეთიდან.

— ხელისუფლებას სათავეში პროფესიონალები რომ უნდა ედგნენ, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. დღეს რა პრინციპით ხდება კადრების შერჩევა. ისევ ექსპერიმენტს ხომ არ ვატარებთ?

— ჯერ კადრების შერჩევა არ დაწყებულა. ორი მინისტრი დაინიშნა. რაც შეეხება ქვედა დონეზე გადაადგილებებს, იქ აღინიშნება უწესრიგობა. ამიტომ ცვლილებები უნდა შეწყდეს და კვალიფიციური კადრები უნდა შეირჩეს. დარწმუნებული ვარ, როგორც კი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, საკადრო საკითხი სხვაგვარ დინამიკას შეიძენს. უამრავი წესიერი, პროფესიონალი ადამიანი გამოჩნდება ხელისუფლების სხვადასხვა დონის სხვადასხვა რგოლებში. რა თქმა უნდა, მათ პოლიტიკური გამოცდილებაც ექნებათ.

— „ხავერდოვანი გადატრიალების“ შედეგ, როგორც პრესა იუწყებოდა, უშიშროების მინისტრმა ქალაქში შეიარაღებული დაჯგუფებების არსებობა შენიშნა. რადენიმე დღის წინ კი ისიც ითქვა, რომ საკაშვილის წინააღმდეგ სამხედრო გადატრიალება მზადდებაო. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია კავშირის არსებობა ამ ფაქტებს შორის და იკვეთება თუ არა რიალური საფრთხე მორიგი გადატრიალებისა?

— კულუარული ინფორმაციები იმისთვის არ კმარა, რომ ხმამაღლა ილაპარაკოს ადამიანმა, ისე, ყველაფერია, მოსალოდნელი. ამიტომ საჭიროა სიფრთხილე. ახალი არეულობის საშიშროება იმ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს, თუ ხელისუფლება სუსტი იქნება, მაგრამ ამ ხელისუფლებას ხალხის მხრიდან უზარმაზარი მხარდაჭერა აქვს. მე ვფიქრობ, რომ რაიმე სერიოზულს ვერავინ გაბედავს, რადგან მაშინ თუ 100 000 ადამიანი გამოვიდა, დღეს მილიონი გამოვა.

— მიზანშეწონილად მიგაჩნიათ, რომ პრეზიდენტი თბილისში დარჩა, თუნდაც არჩევნებამდე? რევანშის ასოლებად ძალებს იკრებსო, ამგვარ შიშს, პრაქტიკულად, ყოველ ფეხის მეორე ნაბიჯზე გამოთქვამენ.

— ეს არასწორია. მე მიმაჩნია, რომ პრეზიდენტი საქართველოში უნდა იყოს, წყნარად, მშვიდად უნდა ცხოვრობდეს. ცხოვრების ღირსეული პირობები უნდა გააჩნდეს და უნდა იყოს დაცული. თუ კი მას რაიმე ავტორიტეტი შემორჩა უცხოეთში, უნდა გამოვიყენოთ.

საქართველოს ყველა პრეზიდენტი უცხოეთში ამთავრებდა სიცოცხლეს. ბოლო პრეზიდენტმა მაინც შეძლოს აქ ცხოვრება და ქვეყნის აღმშენებლობაში პირდაპირ თუ ირიბად მიიღოს მონაწილეობა.

ნანა გელოვანი

ვითარებიდან ქრისტეშოვამდე

„თუ შენ სიმართლეს იტყვი, ადამიანები შეგიძულებენ, თუ სიცრუეს - ღმერთები“
(ბერძენი ქურემი)

საქართველოში დასრულდა სამკვირიანი საყოველთაო — სახალხო ჯანყი ედუარდ — გიორგი შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით. აჯანყება, რომ ნამდვილად სახალხო იყო — დაადასტურა იმ არნახულმა აღტყინებამ და საყოველთაო — სახალხო ზეიმმა, რაც მოჰყვა პრეზიდენტის გადადგომას. მთელ საქართველოში და განსაკუთრებით, მის დედაქალაქში ქუჩაში გამოსულმა ხალხმა და მათმა პათოსმა უდაო გახადა ხალხისა და მისი ლიდერის ერთიანობა და თანხმობა. მსოფლიო მასმედია ფართოდ აშუქებს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ცნობილი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები თუ პალმოსნები კომპლიმენტებსა და ეპითეტებს არ იშურებენ ქართველი ხალხისა და მისი ლიდერების მიმართ, უწოდებენ რა მათ ნამოქმედარს „ვარდების რევოლუციას“, „ხავერდოვან რევოლუციას“ და ა.შ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 2003 წლის 23 ნოემბრის გადატრიალება, რაც საქართველოში დაემთხვა წმინდა მთავარმოწამე გიორგის დღესასწაულს, ნამდვილად და სამართლიანად შევა ისტორიაში, როგორც ცივილიზებული, დემოკრატიული, უმსხვერპლო და ამიტომ უნიკალური გამარჯვება აჯანყებული ხალხისა მის ხელისუფლებაზე. დიქტატორის ჩამოგდება ასე უმტკივნეულოდ, როგორც საქართველოში მოხდა, უპრეცენდენტო და უანალოგოა მსოფლიო ისტორიაში და ის უდაოდ იქცევა ქრესტომათიულ მაგალითად და მეთოდად მონარქ-დიქტატორების, პრეზიდენტ-დიქტატორების, თუ სხვა ნებისმიერ არასასურველ მმართველთა ჩამოგდების მსურველთათვის მომავალში. სახელმწიფო გადატრიალებას უმსხვერპლოდ — ამიერიდან და სამუდამოდ — დაერქმევა გადატრიალების „ქართული ვარიანტი“. მოვლენის უნიკალურობა და „ხავერდოვნება“ კი განაპირობა იმანაც, რომ აჯანყებული, აფეთქებული და გამარჯვების ეიფორიაში მყოფი ხალხი შინაგანი კულტურით და ცივილურობით ბევრ საკუთარ წინამორბედზე მაღლა აღმოჩნდა, არ გადაიქცა ბრბოდ და არ გამოიყენა გამარჯვება პირად მტრებთან ანგარიშსწორებისათვის. რაც როგორც წესი, ყოველთვის მოსდევდა ანალოგიურ მოვლენებს ნებისმიერ დროსა და ხალხში.

პრეზიდენტი გადადგა, ნამდვილმა ოპოზიციამ ხალხთან ერთად გამარჯვებას მიაღწია, დემოკრატიამ და სამართლიანობამ იზეიმა. ახლა, ახალი პრეზიდენტის არჩევნებამდე პერიოდში გაირკვევა, იყო ეს ნამდვილი, ჭეშმარიტი სახალხო რევოლუცია, თუ მხოლოდ სახალხო აჯანყება და სახელმწიფო გადატრიალება. მანამდე კი უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, პასუხი გაეცეს კითხვებზე, რომელიც ყველას ებადება:

— რატომ არ დაინიშნა პარლამენტის სხდომა დილით, მანამ, სანამ არ შეიკრიბებოდა ხალხი მერიასთან, სადაც მიტინგი 13 საათისათვის იყო დანიშნული?;

— რატომ გაწელეს 16 საათზე მოწვეული პარლამენტის სხდომის გახსნა 17 საათამდე?;

— რატომ აგრძელებდა პრეზიდენტი მისასალმებელი სიტყვის კითხვას პარლამენტში აჯანყებული ლიდერების შესვლის შემდეგაც?;

— რატომ ტარდებოდა პარლამენტის სხდომა აჯანყებული ხალხით გარშემორტყმულ დარბაზში და რატომ არ იქნა ჩატარებული ის, სხვა, ხალხისგან უკეთესად დაცულ შენობაში?

— რატომ გაგვიხდა ორივე პრეზიდენტი ჩამოსაგდები?

სჯობს თავად დავსვათ და ვუპასუხოთ კიდეც კითხვებს, რომლებიც უსათუოდ გაჩნდება, მით უმეტეს, რომ ყველა ამ კითხვის პასუხი ჩვენთვის ძალზე ადვილი და მარტივია. აღნიშნულ კითხვებს მე, როგორც მოვლენების აქტიურ მონაწილეს ნაცნობ-მეგობრები და მეზობლები ხშირად მისვამენ და პასუხის მოლოდინში მრავალმნიშვნელოვნად იღიმებიან. პასუხი კი ერთობ მარტივია:

— ჩვენ ვებრძოდით მრისხანე პოზიციის პრიმიტიულ ძალას. ექსპრეზიდენტს კი ვუსაყვედურებთ, თუ საქართველოში მართლა აპირებთ ცხოვრებას, ცოტა უკეთესი გაგეხადა.

საქართველოში პრეზიდენტის კაბინეტში შეჭრილმა განრისხებულმა ადამიანებმა პრეზიდენტის სავარძელი დაწვეს, იგივე ხალხმა კი თვით

(გაგრძელება გვ. 4)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს

თამაზ ტოროშელიძე

სერგო ქსოვრელი

ვლადიმერ ლუბოვსკი

გიორგი ირემაშვილი

მამულიშვილები ბევრი ჰყოლია და ჰყავს კიდეც საქართველოს. მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჩვენი ქვეყნისა სწორედ რომ დასტურია ამ სიტყვების ჭეშმარიტებისა. ერთმა მუჭა ხალხმა ერთი მუჭა მიწა ათასწლეულებს გამოატარა და დღემდე მოგვიტანა. ბევრი გმირის სახელი ისტორიამ უკდაჰყო, ბევრისაც – როგორც გმირი მამულიშვილებისა – საზოგადო სახელით შემოგვინახა.

გიორგი ირემაშვილის, ვლადიმერ ლუბოვსკის, თამაზ ტოროშელიძის, სერგო ქსოვრელის, ვლადიმერ ჯავახიშვილის, გელა ირემაშვილის, რომან ქართველიშვილის, იური პატარიძის, ზვიად თათრიშვილის, ზაზა მიდოდაშვილის გმირობა აფხაზეთის ომის დროს ვახტანგ გორგასლის I, II და III ხარისხის ორდენების მინიჭებით აღინიშა, სამწუხაროდ, სიკვდილის შემდეგ. აფხაზეთის ომს სხვა გმირებიც მრავლად ჰყავს, თუმცა დღეს ამ ბიჭების სამაგალითო გმირობაზე გვინდა გიამბოთ.

1993 წ. 3 ივნისს სოხუმზე შემოტევის დროს შრომა-კამანის მიმართულებით პირველი ზღუდე, რომელიც სოხუმში მტრის შენაერთების გუდაუთის ბაზიდან შემოჭრას აკავებდა, სოხუმის ჰიდროელექტროსადგური გახლდათ. მის დაცვას რკინიგზის მე-8 სპეც. დანიშნულების რაზმი ახორციელებდა.

მტრის ჭარბ ძალებს (შეფარდება ერთი თხუთმეტთან იყო) სამი დღის მანძილზე სოხუმჰესი ალყაში ჰქონდათ მოქცეული. 6 ივნისს მოწინააღმდეგე შეტევაზე გადმოვიდა. 8 საათიანი მძიმე ბრძოლების შედეგად ქართველი მეომრების ნაწილი გმირულად დაეცა. უტყვიაწამლოდ დარჩენილი 23 კაცი კი მტრის შემჭიდროებულ ალყაში მოექცა. რაზმის მეთაურმა, მიუხედავად იმისა, რომ მასთან ერთად მისი 14 წლის შვილიც იბრძოდა, შრომაში განლაგებული შენაერთის მეთაურებს საარტილერიო ცეცხლის გახსნა მოსთხოვა და კოორდინატებიც გადასცა, რათა მტერს ცოცხლად არ ჩავადნოდნენ ხელში. თანამემამულეთა გასროლილმა საარტილერიო ჭურვმა მხოლოდ დარბაზის კედლები ჩამოანგრია. მტერმა სოხუმჰესიდან გახიზნული – მძევლად აყვანილი 5 მცირეწლოვანი ბავშვისა და 4 ქალის წამების მუქარით მებრძოლებს დანებება უბრძანა. გამოსავალი არ არსებობდა. მეომრებს ორადორი უმძიმესი არჩევანი ჰქონდათ: გმირული სიკვდილი ბავშვების სიცოცხლის ხელყოფის სანაცვლოდ ან ისევ სიკვდილი წამებით, ტყვეობაში. პატარების გადასარჩენად ქართველმა მეომრებმა თავი გაწირეს და გუდაუთის საკონცენტრაციო ბანაკში 8 თვიან წამებას გაუძლეს. მძევლად აყვანილი ბავშვები სიცოცხლეს დღესაც აგრძელებენ. ეს ფაქტი ქართველ გმირთა გადაწყვეტილებების სისწორეს ნათლად ადასტურებს.

ვლადიმერ ჯავახიშვილი


იური პატარიძე

რომან ქართველიშვილი

გელა ირემაშვილი

ეს ერთ-ერთი მაგალითია იმ უამრავი გმირობიდან, რომელიც მებრძოლმა რკინიგზელებმა აფხაზეთისა თუ სამაჩაბლოს ომის დროს ჩაიდინეს.

ტყვედჩავადნილ მებრძოლთა შორის 14 წლის რიგითი უშანგი (მამუკა) მამულაშვილიც გახლდათ. საბედნიეროდ, იგი გადარჩა და ოჯახს დაუბრუნდა. იგი ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა მხედრული მამაცობისათვის.

დღეს რკინიგზის მე-8 სპეც. დანიშნულების რაზმის სოხუმის მისადგომებთან დაღუპულ მებრძოლთა უკვდავსაყოფად რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის მიმდებარედ არსებულ გადასასვლელ ხიდს "მამულიშვილთა ხიდი" ეწოდა.

ნანა გელოვანი

P.S. *მკითხველს მომდევნო ნომერში ტყვეობიდან დახსნილ გმირთა შესახებ ვრცელ რეპორტაჟს შევთავაზებთ.*

(დასაწყისი გვ. 3)

გიორგი ბერიძე ქრისტეშოვამდე

„თუ შენ სიმართლეს იტყვი, ადამიანები შეგიძულებენ თუ სიცრუეს - ღმერთები" (ბერძენი ქურემი)

პრეზიდენტი უვნებელი დატოვა, მეტიც, მათ არც სურვილი გამოუხატავთ, ასევე გასწორებოდნენ პრეზიდენტს, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მათ სიმბოლურად გამოხატეს პროტესტი არა ვინმე შევარდნაძის მიმართ, ან საერთოდ, პრეზიდენტის მიმართ, არამედ იმ სავარძლის, სკამის, კვერთხის, სკიპტრის, ტახტის, საგნის, ანუ მდგომარეობის მიმართ, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს, გახდეს დიქტატორი, და თუ ჩვენ სამართლიანი ვიქნებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ედუარდ შევარდნაძე თავისი ბუნებით, იქნებ, არც იყო დიქტატორი, ის ასეთად გახადა იმ უფლებებმა და მდგომარეობამ, რაც მას ქვეყნის კონსტიტუციამ მიანიჭა. საქართველოს კონსტიტუციით ჩვენ ვირჩევთ – „პრეზიდენტ-დიქტატორს" და შემდეგ ვუჯანყდებით მას დიქტატორობისათვის? თუმცა ისიც ნათქვამია, რომ „ბოროტებას მხოლოდ საბაბი სჭირდება". თანამედროვე კლასიკურ – დემოკრატიულ კონსიტუციებში ხელისუფლების განაწილების პრინციპი საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის „ურთიერთშეკავშირებისა და შეწონასწორების" მეთოდზეა დამყარებული. საქართველოს კონსტიტუციაში კი უფლება-მოვალეობა ამ სამ ძირითად სახელისუფლებო შტოს შორის ისეა განაწილებული, რომ მათ შორის უფრო დისჰარმონიაა, ვიდრე, პირიქით. ქვეყნის ძირითადი კანონის „ხეზე", ამ სამი სახელისუფლებო ტოტიდან არც ერთს არ უნდა შეეძლოს საკუთარი სიმძიმითა და მნიშვნელობით – მეორის გადააწონა და საყრდენი ხის ჰარმონიული განვითარების დარღვევა. ჩვენ შემთხვევაში კი ერთმა, არა თუ მეორე, არამედ ხის დანარჩენი ორივე ტოტი გადაწონა და ხეც მთლიანად თავისკენ გადახარა, რამაც საერთოდ საფუძველი გამოაცალა ხელისუფლების განაწილების კლასიკურ პრინციპებს და თვით კონსტიტუციის არსებობას დაუკარგა აზრი.

ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე და შემდგომაც მე ვწერდი, რომ კონსტიტუციის აღნიშნული ვარიანტი არადემოკრატიულია, რომ ბევრი პუნქტი იქ საერთოდ უვარგისია, ხოლო IV თავი, რომელიც პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებს შეიცავს, დაწერილია ერთი პიროვნებისათვის და ეს კარგს არაფერს მოგვიტანს (იხ. ჩემი წერილები: გაზეთი „თბილისი": №17(11434) 29 ივნარი, 1991 წ. „საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიასა და ორგანიზაციას" №20(11565) 12.02.1992. „თანხმობა და დემოკრატია" №105(11610) 21.08.1992. „დემოკრატებო ფრთხილად" „დილის გაზეთი" №128(645) 11.06.1998 „როგორ ჰგავს ეს კამპანია ხარისხის ხუთწლედებს" – №147(664) 3.07.1998 – „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა" №154(972) 9.07.1999 „თამაში სუფთა ხელებით" 10.07.1999. „არჩევნების ექო საქართველოში" №247(1065) 28.10.1999 „არის კი გამოსავალი"? №160(1280) 17.07.2000 „რა გველის" 6.08.2001 „საქართველოს სახელმწიფო მოწყობის შესახებ" გაზეთი „საქართველო" №90(1600) 13-16.09.1997 „დემოკრატია თუ..."; 21-27.09.1999წ. „არის კი გამოსავალი"? 20-27.10.2000წ. „ღია წერილი" და ა.შ. და ა.შ.) და აი, შედეგიც, თუ კი კონსტიტუციურმა პირობებმა შევარდნაძე აქცია დიქტატორად, რა იქნება მაშინ, თუ მის ადგილზე ბუნებითა და მოწოდებით დიქტატორი აღმოჩნდება? ასეთები კი პოლიტიკოსთა შორის და მით უმეტეს ქართველებში საკმარისზე მეტია.

უდაოა, საქართველოს კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს (IV თავი მაინც) და უნდა შეიცვალოს ახალი პრეზიდენტის არჩევამდე, რადგან მერე გაცილებით ძნელი იქნება.

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებს გააადვილებს ის, რომ 1995 წლიდან პარლამენტში დევს ალტერნატიული კონსტიტუციის პროექტი, რომელიც გაცილებით დახვეწილი და თანამედროვეა, განხილული და მოწონებულია მაშინდელი პარლამენტის კომისიების მიერ. ახლავს საზღვარგარეთელი ცნობილი ექსპერტების დადებითი რეცენზიები და მხოლოდ მაშინდელი სიტუაციისა და პირობების გამო ნაჩქარევი სუბიექტური გადაწყვეტილებების საფუძველზე იქნა უარყოფილი (ამ წერილის ავტორს ჯერ კიდევ 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ჰქონდა საუბარი მაშინდელ სახელმწიფოს მეთაურ ედუარდ შევარდნაძესთან საქართველოს სახელმწიფო მოწყობის შესახებ და მაშინ არც ერთ ძირითად საკონსტიტუციო საკითხში აზრთა სხვადასხვაობას ადგილი არ ჰქონია).

წლევანდელ გიორგობას საქართველოში შესანიშნავი მზიანი ამინდი იდგა. დათბა პოლიტიკურადაც. თუ გვინდა. რომ შობის ბრწყინვალე დღესასწაულსაც ასევე ღირსეულად შევხვდეთ – კონსტიტუცია უნდა შევცვალოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზღვეული ვერ ვიქნებით 2003 წლის ნოემბრის მსგავსი მოვლენებისაგან.

იგორ პატარიძე
25.11.2003

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველური პრივატიზაციის პირველი ეტაპის გაგრძელება?!

წიგნის რეცენზია

საქართველოს ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა

თენგიზ ჩხეიძე

სულ ახლახანს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელისშეწყობით გამოიცა პროფესორ თენგიზ ჩხეიძის მეტად საინტერესო მონოგრაფია „საქართველოს ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა.“

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ბატონი თენგიზ ჩხეიძე სხვა ცნობილ ქართველ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად აქტიურად იბრძვის ქვეყნის აგრარულ სექტორში ხელისუფლების მიერ განხორციელებული ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ.

ნაშრომი მთლიანად ეძღვნება ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსის – ქართული მიწის – მავანთა მიერ ხელადებით სასაქონლო ბრუნვაში მოქცევის მცდელობის დამღუპველი შედეგების ანალიზს.

ავტორი აანალიზებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის აგრარული სექტორის გამოცდილებას, წარმოაჩენს ქართული სინამდვილის სპეციფიკურობას და სამართლიანად ასკვნის, რომ უცხოური გამოცდილებისა და მეთოდების ტრაფარეტული გადმოღება საქართველოს სასიკეთოს ვერაფერს მოუტანს.

რამდენიმე თავი მთლიანად ეძღვნება ხელისუფლების მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული ნორმატიული აქტების ანალიზს. გამოკვეთილია მათი ნაკლოვანებანი, რომლებიც სერიოზულად აფერხებენ სექტორის აღორძინებას.

ავტორი არ ერიდება სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებული ჩინოვნიკების მხილებას, რომლებიც, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, შეგნებულად უწყობენ ხელს ქართული სოფლის მეურნეობის დაკნინებას და ქვეყნის ძირითადი ეროვნული სიმდიდრის – ქართული მიწისგაუმართლებელ გასხვისებას.

ნაშრომში კარგად არის გაშუქებული ქართული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტრადიციული წესები და ფორმები, საუკუნეების განმავლობაში ქვეყანაში არსებული მიწის საკუთრების დაცვის მეტად ორიგინალური მექანიზმი (მკვიდრისა და მოსულის ინსტიტუტი). გაანალიზებულია უცხოური მსხვილი კაპიტალის ანტიეროვნული ბუნება და მისი საქმიანობის შედეგები რევოლუციამდელ საქართველოში.

ავტორი შესანიშნავად გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის საქმეში სწორ, თანამიმდევრულ პოლიტიკას იმ სექტორში, სადაც მოსახლეობის 80%-ია თავმოყრილი; გვიჩვენებს, თუ რა საშიშ დემოკრატიულ ტენდენციებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი მომავალში.

ავტორი ცდილობს, აღნიშნული კანონი შეეხო მიწების 21%-ს – საკარმიდამოებს, საბაღბოსტნე და სააგარაკო მიწებს. იგი არ შეხებია ტყის, წყლის, ზღვის მიწებს, საძოვრებს, სასოფლო-სამეურნეო და არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს. ასე რომ, დარგი დღემდე კანონგარეშეა. ბუნებრივია, არც მიწის მესაკუთრეთა ინტერესების დაცვის ასოციაციის მიერ განსახილველად წარმოდგენილი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზაციაც“ არ არის მიწის კანონი.

1998 წელს ზ. გეგეჭკორმა პარლამენტს წარუდგინა კანონპროექტი – „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“.

აგრარული კომიტეტის იმდროინდელ თავმჯდომარეს ქალბატონ რ. ლორთქიფანიძეს არ უნდა დაეშვა აღნიშნული კანონპროექტის პარლამენტში განსახილველად შეტანა. მითუმეტეს, რომ მუსირებს აზრი, ებრაელმა რევაზ არონიშვილმა 5 მილიონი დოლარი გადაიხადა იმისათვის, რომ აღნიშნული კანონი პარლამენტს მიეღოო. კანონის სესიაზე გატანა ითავა ბატონმა ზ.ცქიტიშვილმა. იგი აცხადებდა, რომ „შეიქმნება მიწის ბაზარი და ქვეყანას ეშველება“. როგორც ეშველა, ყველასათვის ცნობილია: იყიდება საქართველოს უძველესი და უნიკალური ძეგლებით დაფარული ტერიტორიები, ქართველი ერის ისტორიული და ხელშეუხებელი საგანძური, რაც კორუფციის წყაროდაა გადაქცეული.

დიღომში, აგრარული უნივერსიტეტისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებობდა საცდელ-საჩვენებელი, კვლევითი მეურნეობები, ხეხილის ბაღები, ამჟამად ეს ტერიტორია დაფარულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი, სააგარაკე და სხვა დანიშნულების შენობებით. ვინ და რა უფლებით გაყიდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ეს მიწები?!

(ამონარიდი)

დაუშვებელია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების გაყიდვა

1996 წელს მივიღეთ „კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, რომელიც გერმანული საკანონმდებლო აქტების მიხედვითაა შედგენილი. კანონიდან (ლ. ჭანტურიას მიერ) ამოღებულია მიწის დახასიათება, რომ მიწა განსაკუთრებული ფენომენია და მისი ნივთთან გათანაბრება არ შეიძლება.

განსახილველად წარმოდგენილი პროექტით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის შეძენა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის უცხოელ იურიდიულ პირებსაც, რაც მცირემიწიანი საქართველოსათვის მიუღებელია. ამ გზით დიდძალი მიწა გადავა უცხოელების ხელში. ამ დროს ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნებში მიწას ვერ შეიძენ, თუ იქაური მოქალაქე არ ხარ.

საქართველოში გრძელვადიანი იჯარით, შესყიდვის უპირატესი უფლებით აღებული აქვთ დაახლოებით 200 ათასი ჰექტარი მიწა.

ამრიგად, უცხოელების, სეპარატისტებისა და ქართველი ოლიგარქების ხელში აღმოჩნდება ჩვენი მიწა-წყლის დიდი ნაწილი. ჩვენი გაღატაკებული მოსახლეობა გახდება ამ ხალხის ექსპლუატაციის წყარო.

ამჟამად ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში შემოღებულია კანონი, რომლის მიხედვით მხოლოდ განსაზღვრული ფართობის მიწის შეძენა ან იჯარით აღება შეუძლია ერთ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

უნდა ითქვას, რომ ქართველი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი არ ცნობს ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს (ამას უცხოელებიც ადასტურებენ) და არ იყენებს მას. ასევე უგულვებელყოფილია და არ ითვალისწინებენ გასული საუკუნის მწარე გამოცდილებას, როდესაც უცხოელმა კაპიტალისტებმა XIX ს. 80-იან წლებში ხელში ჩაიგდეს ჩვენი მიწა-წყლის დიდი ნაწილი და დიდძალ კაპიტალსაც ფლობდნენ, მაგრამ იგი ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალათა განვითარებას კი არ ხმარდებოდა, არამედ მიედინებოდა სხვა ქვეყნების ინტერესების სასარგებლოდ.

ნიშანდობლივია აგრეთვე დღეს საქართველოში „მოღვაწე“ კაპიტალისტების განცხადება: „საქართველოში ჩვენ საქველმოქმედოდ არ ჩამოვსულვართო“.

პირველი მოწვევის პარლამენტში მუშაობის დროს ქართველ სპეციალისტებს მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის, გაეროს სპეციალისტებთან, – ამერიკელ კონგრესმენ აგრარიკოს ევანს კუჰერთან, მსოფლიო ბანკის ექსპერტთა ჯგუფთან, – ჩაბაჩაკთან, ეზრილ ბრუკთან, საკადასტრო რუქების ბრიტანელ სპეციალისტთან გ. გილბერტთან, კ. ჯარნისონთან. ჯ.ჰრაისთან. გმედოლკთან და სხვებთან, რომლებიც გვაფრთხილებდნენ, რომ „მიწის სრული ინვენტარიზაციის, საკადასტრო და სხვა აუცილებელი სამუშაოების ჩატარების, საკანონმდებლო ბაზის შექმნის და მიწის კანონის მიღების გარეშე არ შეიძლებოდა რეფორმის დაწყება და არც მიწის ბაზრის შექმნა“.

ამავე დროს, ზემოთ დასახელებული სპეციალისტები გვირჩევდნენ: „თუ თქვენ მიწის სასაქონლო ბრუნვაში მოქცევის წინააღდეგი ხართ, გაეცით იგი გრძელვადიანი იჯარით. ეს ისევე შეუწყობს ხელს ქვეყნის ახალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, როგორც მიწის ყიდვა-გაყიდვა“.

ანალოგიური აზრია გატარებული მსოფლიო ბანკის მიერ გასულ წელს რუსეთში გამოქვეყნებული ნაშრომში: „Правовые препятствия для эффективных сельских земельных отношений в восточной европе и центральной азии“, საიდანაც, ამავე დროს, ირკვევა, რომ მიწის რეფორმა ისეთი დარღვევებით, როგორც ჩვენთან, არსად, მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ ჩატარებულა. ბევრად უკეთესი მდგომარეობაა აგრეთვე ჩვენს მეზობელ რესპუბლიკაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამ რესპუბლიკებში, ჩვენგან განსხვავებით, ჩატარებულია ყველა მოსამზადებელი სამუშაო. შექმნილია საკანონმდებლო ბაზა, მიღებულია კანონები, სომხეთი სუფთა ეროვნული ქვეყანაა. აქ არ არსებობს სეპარატიზმი. აზერბაიჯანში უცხოელი მიწას, წიაღისეულს და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტს ვერ შეიძენს, არ არსებობს ქვეიჯარა და ა.შ.

დათო აბულაძე

ეკონომისტი
ფრანგულენოვანი პრესის საერთაშორისო კავშირის წევრი (UPF)
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის(OCED) ექსპერტი საქართველოში
ქ. ნანსის (საფრანგეთი) უნივერსიტეტის დოქტორანტი

აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

აშშ სახმელეთო ჯარების ოფიცერთა კადრების მომზადება

აშშ სახმელეთო ჯარების (არმიის) სარდლობა დიდ ყურადღებას უთმობს ოფიცერთა კადრების მომზადებას, რომლებმაც ეფექტურად უნდა მართონ მათდამი დაქვემდებარებული ძალები და საშუალებები დასმული ამოცანების შესრულებისას. შესაბამისად, აშშ არმიის ოფიცერთა კადრების მომზადების სისტემა (ისევე, როგორც სამხედრო საქმის თვალსაზრისით დაწინაურებული სახეა ქვეყნებსა) იძლევა ოფიცრების მუდმივად სწავლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების საშუალებას მთელი მათი სამსახურის განმავლობაში. იგი იყოფა სამ ძირითად ეტაპად. უმცროს ოფიცერთა მომზადება „ოცეული-ასეულის“ რგოლში (ლეიტენანტი-კაპიტანი) სამეთაურო – საშტაბო და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მათი გამოყენების მიზნით; უფროს ოფიცერთა მომზადება „ბატალიონი-პოლკი-ბრიგადის“ რგოლში (მაიორი-პოლკოვნიკი) სამეთაურო და საშტაბო თანამდებობებზე მათი შემდგომი გამოყენებისთვის, და უმაღლესი ოფიცრების (ბრიგადის გენერალი–სრული გენერალი) მომზადება „დივიზია-კორპუსი-საველე არმია-თეატრზე სარდლობა“ რგოლში სამეთაურო-საშტაბო და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, აგრეთვე აშშ სახმელეთო ჯარების სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მათი შემდგომი გამოყენების მიზნით.

ოფიცერთა კადრების მომზადების ასეთი თანამიმდევრობა, ამერიკული სარდლობის აზრით, იძლევა ოფიცრების პროფესიული დონის გამუდმებით სრულყოფას, წამოყენებული მოთხოვნების შესაბამისად ბუნებრივი შერჩევის ჩატარების შესაძლებლობას და ამავე დროს, სხვადასხვა რანგის ოფიცრებს აძლევს სამსახურში დასაბუთებულად დაწინაურების საშუალებას.

აშშ არმიისთვის უმცროს ოფიცერთა მომზადების ყველაზე უფრო პრესტიჟული სამხედრო-სასწავლო დაწესებულებაა ვესთ-ფოინთის სამხედრო აკადემია (ნიუ-იორკის შტატი), რომელიც დაარსებულია 1802 წელს. მასში კანდიდატებს გასაუბრებისა და გამოცდილებისთვის ღებულობენ ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტის, კონგრესის წევრების, გუბერნატორების, არმიის მინისტრის წერილობითი რეკომენდაციებით, თანაც ჩასარიცხ კონტიგენტს ირჩევენ პროფესიონალ სამხედრო მოსამსახურეთა შვილების, შეიარაღებული ძალების ვეტერანთა (დაღუპულების ან 100%-იანი ინვალიდობის მქონეთა) შვილების, აშშ უმაღლესი სამხედრო ჯილდოების მქონეთა შვილების, რეგულარული სახმელეთო ჯარების ან მზადმყოფი რეზერვის რიგითებისა და სერჟანტების წრიდან და ა.შ.

სამხედრო აკადემიაში ჩარიცხვის წინ აფასებენ კანდიდატების განათლების დონეს, ფიზიკურ მომზადებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას. ჩარიცხული კურსანტებისთვის (ამერიკული ტერმინოლოგიით კადეტები) აკადემიაში სწავლის ხანგრძლივობა ოთხი წელია,

რომლის განმავლობაშიც ისინი გადიან სწავლების ინტენსიურ პროცესს სამხედრო-პროფესიული და ზოგადი სამოქალაქო განათლების მისაღებად. ზოგადი საგნების ძირითადი კურსი მოიცავს 32 საგანს – ფუნდამენტური მეცნიერებები (ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, გეოგრაფია, ისტორია, ეკონომიკა და ა.შ.), საინჟინრო საქმე, რიგი ჰუმანიტარული მეცნიერებებისა (ინგლისური ენა და ლიტერატურა, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, უცხო ენები, საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა) და ა.შ.

კადეტების სამხედრო-პროფესიული მოზადება შედგება ასი ეტაპისაგან (პერიოდისაგან): საწყისი სამხედრო მომზადებისა და სპეციალური სამხედრო მომზადებისგან. პირველ ეტაპზე კადეტები სწავლობენ სამხედრო ხელოვნების ისტორიასა და აშშ შეიარაღებული ძალების ისტორიას, სამხედრო წესდებებსა და დარგებს, სასროლ იარაღს, შეიარაღებაში არსებულ მძიმე იარაღს და სამხედრო ტექნიკას, გადიან სამწყობრო და ფიზიკურ მომზადებას. სასწავლო დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ფიზიკურ მომზადებას (როგორც ერთეულ მომზადებას, ისე ქვედანაყოფის შემადგენლობაში), განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მცირე ქვედანაყოფების მართვის საკითხების დამუშავებას.

სპეციალური სამხედრო მომზადების ეტაპზე კადეტები იძენენ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს ცალკეული სახედრო-საველიცხვო სპეციალობების მიხედვით, თუმცა კი ძირითადი აქცენტი კეთდება შეძლებისდაგვარად ყველა ძირითად სპეციალობაში კადეტების გარკვევისა და ამით მათთვის ზოგადსაჯარისო ცოდნის მიცემაზე. ამ საქმეში სამხედრო აკადემიას დიდ დახმარებას უწევენ ჯართა გვარეობებისა და სამსახურების სასწავლო ცენტრები და სკოლები, სადაც კურსანტები ეცნობიან სატანკო, მოტოქვეითი, ქვეითი, საპარაშუტო-სადესანტო, აერომობილური, საარტილერიო, საზენიტო, საინჟინრო-მესანგრეთა, სადაზვერვო, ტანკსაწინააღმდეგო, კავშირგაბმულობის, ქიმიური დაცვის, სარემონტო, მომარაგებისა და ა.შ. ქვედანაყოფების შეიარაღებას, მოქმედების ტაქტიკას და სხვას. იძენენ აუცილებელ პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

მაღალ კურსებზე ხდება კადეტების მიერ არჩეული სამხედრო-საველიცხვო სპეციალობებში ცოდნის გაღრმავება, რისთვისაც ისინი სწავლების 30 მიმართულებიდან ირჩევენ მათთვის სასურველს და 18 სპეციალობიდან ერთ-ერთს. აკადემიის დამთავრების შემდეგ პირველ საოფიცრო თანამდებობებზე დანიშვნის წინ მსმენელებს გზავნიან ჯართა გვარეობების (სამსახურების) სკოლებში არჩეული სპეციალობის მიხედვით სპეციალიზაციის კურსის გასავლელად, რომლის ხანგრძლივობაც (სამხედრო-საველიცხვო სპეციალობის მიხედვით) ოთხიდან რვა კვირამდეა.

ვესთ-ფოინთის სამხედრო აკადემიაში სწავლების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები ღებულობენ გარკვეულ სამოქალაქო სპეციალობაში ბაკალავრის დიპლომს და პირველად საოფიცრო წოდებას – მეორე ლეიტენანტი. ისინი ვალდებულნი არიან ხუთი წლის ვადით იმსახურონ რეგულარულ არმიაში საოფიცრო თანამდებობებზე და სამი წელიც – მზადმყოფ რეზერვში. ამის ზევით ოფიცრების სამსახური სახმელეთო ჯარებში ემყარება მათ ნებაყოფლობით არჩევანს. გარკვეული ნაწილი კი გადადის სამოქალაქო სამსახურებში, რისთვისაც პენტაგონი მათ შესაბამის დახმარებას უწევს. ამავე დროს, ვესთ-ფოინთის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულები შეადგენენ აშშ არმიის ოფიცერთა კორპუსისი მხოლოდ 10%-ს, ამ შევსების ძირითადად წყაროს კი წარმოადგენს უმაღლეს სამოქალაქო დაწესებულებებში არსებული რეზერვის ოფიცერთა ჯარგარეშე მომზადების კურსები **ROTC (RESERVE OFFICERS TRAINING CORPS)** – ჩვენში მოქმედი სამხედრო კათედრების მსგავსი.

ROTC კურსების ორგანიზებას აშშ-ში საფუძვლად უდევს კანონი ეროვნული თავდაცვის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო სასწავლო დაწესებულებებში სამხედრო მომზადების განყოფილებების შექმნასა და შესაბამისი სამხედრო უწყებებისადმი მათ დაქვემდებარებას. **ROTC** კურსები ორგანიზებულია მთელი შეიარაღებული ძალების, და მათ შორის სახმელეთო ჯარების, ინტერესებში. იგი ითვალისწინებს სწავლების ორ დონეს, პირველ დონეზე სახელმწიფო და კერძო საშუალო სკოლების მოწაფეებს, მათი სურვილის და მიხედვით. უტარებენ საწყის სამხედრო მომზადებას, მეასე დონეზე კი – უნივერსიტეტებისა და კოლეჯების სტუდენტებს, ისევე ნებაყოფლობით საფუძველზე, აძლევენ ზოგად სამხედრო და სპეციალურ სამხედრო ცოდნას, რეგულარული ჯარების ან მზადმყოფი რეზერვის შენაერთებსა და ნაწილებში მათი შემდგომი გამოყენების მიზნით. 1980-იანი წლების ბოლოს **ROTC** კურსებზე სწავლობდა საშუალო სკოლების 115 ათასი მოწაფე (35 ათასი გოგონას ჩათვლით) და 60-65 ათასი სტუდენტი, რომელთა 20%-საც ქალიშვილები შეადგენდნენ. წლიურად **ROTC** კურსები უშვებდა 10 ათას უმცროსს ოფიცერს, მთლიანობაში კი ამ კურსების გამოშვებულნი შეადგენდნენ აშშ შეიარაღებული ძალების ოფიცერთა კორპუსის 70%-ს ამასთანავე რეგულარულ სახმელეთო ჯარებში მათი ხვედრითი წილი იყო 30-40%, არმიის ეროვნულ გვარდიასა და რეზერვში კი, თითქმის 100%-მდე.

აშშ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში **ROTC** კურსებზე ღებულობენ შესაბამის სურვილის მქონე, ჯანმრთელობის მდგომარეობით და მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებებით სამხედრო სამსახურისთვის ვარგის 17 წლისა და მეტი ასაკის სტუდენტებს – ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ეს კურსები ორგანიზებულია ორი ან ოთხწლიანი პროგრამების მიხედვით, თუმცა უფრო გავრცელებულია ოთხწლიანი სამხედრო მომზადება. კურსებზე სტუდენტების მოსაზიდად აშშ თავდაცვის სამინისტრო სარეკლამო ხასიათის ღონისძიებებთან ერთად მიმართავს ფულადი წახალისებების სხვადასხვანაირ ფორმებსაც.

ოთხწლიანი პროგრამის **ROTC** კურსებზე სწავლება მიმდინარებს ორ ეტაპად, რომელთაგან თითოეულის ხანგრძლივობა ორი წელია. პირველ ეტაპზე სტუდენტები გადიან ძირითადი სამხედრო მომზადების კურსს. კვირაში მას უთმობენ სამ საათს, ხოლო მთლიანად ორი წლის მანძილზე მთელი პროგრამა მოიცავს 180 საათს. მსმენელები სწავლობენ სამხედრო საქმის საფუძვლებს, შეიარაღებული ძალების სახეობების ისტორიას, ტრადიციებს, დანიშნულებას, ორგანიზაციასა და ამოცანებს. თავისთავად ცხადია, რომ სახმელეთო ჯარების მომავალი ოფიცრები განსაკუთრებით გულდასმით სწავლობენ სწორედ სახმელეთო ჯარების ისტორიას, ტრადიციებს და ა.შ. ისინი ეცნობიან ინდივიდუალურ და ჯგუფურ იარაღს, მძიმე შეიარაღებას და სამხედრო ტექნიკას, დაზვერვის, საინჟინრო, კავშირგაბმულობისა და სხვა საშუალებებს, გადიან სამწყობრო და ფიზიკურ მომზადებას, სწავლობენ სამხედრო ტოპოგრაფიას, სამხედრო კანონმდებლობის საკითხებს, გამოიმუშავებენ სამეთაურო ჩვევებსა და ა.შ.

ამ ეტაპზე სტუდენტს უფლება აქვს, ნებისმიერ მომენტში საკუთარი სურვილით შეწყვიტოს **ROTC** კურსებზე სწავლა. გარდა ამისა, სამხედრო მომზადების მეცადინეობებზე დასწრებისას საკალდებულო არ არის ფორმის ტანსაცმლის ტარება და სამხედრო დისციპლინის მოთხოვნების მკაცრი შესრულება.

ROTC კურსებზე სწავლის მეორე პერიოდს უწოდებენ დამოუკიდებელ გაძლიერებულ მომზადებას და მასზე უშვებენ მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებიც შესაბამის კონტრაქტზე მოაწერენ ხელს და ვალდებულებას აიღებენ, დაასრულონ რეზერვის ოფიცერთა ჯარს-გარეშე მომზადების კურსები და შემდეგ გარკვეული ვადით იმსახურონ რეგულარულ არმიაში და მზადმყოფ რეზერვში. გაძლიერებული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა უკვე 300 საათია, რისთვისაც ყოველ კვირაში მას უთმობენ 5 საათს. ამ პერიოდში სტუდენტები სწავლობენ სამხედრო ხელოვნების საფუძვლებს და ძირითად პრინციპებს, სახმელეთო ჯარების ჯართა გვარეობებისა და სამსახურების ორგანიზაციას, შეიარაღებას და ტექნიკას, ზურგის უზრუნველყოფას, ოფიცერთა შემადგენლობის როლსა და ამოცანებს, მცირე ქვედანაყოფების მართვას, ხელქვეითების სწავლებისა და აღზრდის საკითხებს, სამხედრო კანონმდებლობის, განსაკუთრებით მეთაურების უფლებებსა და მოვალეობებს, გადიან სამწყობრო და ფიზიკურ მომზადებას. ინსტრუქტორად და სამხედრო დისცილინების მასწავლებლებად იწვევენ რეგულარული ჯარების (იშვიათად მზადმყოფი რეზერვის) ოფიცრებსა და სერჟანტებს. მეცადინეობებზე სტუდენტები ატარებენ ფორმის ტანსაცმელს, რომელსაც მეთაურისგან უფასოდ ღებულობენ, იცავენ სამხედრო დისციპლინის მოთხოვნებს. პენტაგონი ფორმის ტანსაცმლის გარდა უფასოდ აძლევს სტუდენტებს სახელმძღვანელოებსაც, აგრეთვე უწესებს სხვა ფულად დახმარებებს.

გაძლიერებული სამხედრო მომზადების პირველი წლის შემდეგ სტუდენტები სახმელეთო ჯარების სასწავლო ცენტრებში გადიან ექვსკვირიან სამწყობრო შეკრებებს, რომელთა მსვლელობისას სასწავლო პროცესის პროგნოზების საერთო ხელმძღვანელობასა და მსვლელობის კონტროლს ახორციელებენ სასწავლო ცენტრის შტაბი და ინსტრუქტორთა ჯგუფები, რომელთა ამოცანებშიც შედის სწავლებების სცენარების დამუშავება, მათი ჩატარება და გარჩევა. სასწავლო ცენტრების ტერიტორია იყოფა სასწავლო ზონებად, რომლებშიც შეძლების და

(გაგრძელება გვ. 7)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით ვიწყალავთ თავს

სუფრის მარილი

მავნებლობის დასაბუთება:

ბიოქიმიური ანალიზი აჩვენებს, რომ მარილს არავითარი კვებითი ღირებულება არ გააჩნია, არ შეიცავს ვიტამინებს და ორგანულ ნივთიერებებს. მისი ჭარბი მოხმარება იწვევს თირკმელების, შარდის ბუშტის, გულის, სისხლძარღვების დაავადებებს,ჰიპერტონიას,შეშუპებას. ამერიკელებმა 70-იან წლებში ჩაატარეს ასეთი ცდა: გულ-სისხლძარღვთა უკმარისობით დაავადებულ ადამიანებს უფლება მისცეს დღეში 2-3 ლიტრი სითხე მიეღოთ (რასაც ორგანიზმში სითხის დაგროვება უნდა გამოეწვია!), მაგრამ ამასთანავე აუკრძალეს მარილის მიღება – არცერთ ავადმყოფს შეშუპება არ განუვითარდა.

საქმე იმაშია, რომ სუფრის მარილში შედის ნატრიუმი (Na), ორგანიზმს კი უფრო მეტად სჭირდება კალიუმი (Ka), თან 4-ჯერ მეტი ვიდრე Na. კალიუმი აუცილებელია გულის გამართული მუშაობისათვის. ორგანიზმი მთელი ძალებით აგროვებს კალიუმს მიღებული საკვებიდან, მაგრამ სუფრის მარილში შემავალი არაორგანული Na, თუნდაც მცირე დოზით, ორგანიზმის „შრომას“ მისთვის საჭირო Ka-ის მოსაპოვებლად წყალში ყრის. სუფრის მარილში შემავალი არაორგანული Na ორგანიზმში წყალს აკავებს. ჩვენ ორგანული, სხვადასხვა საკვებში შემავალი Na გვჭირდება და არა სუფრის მარილის არაორგანული Na.

არის მეორე ფაქტორი: სუფრის მარილში (NaCl) შემავალი ორგანული ქლორი (Cl) წარმოადგენს ორგანიზმისათვის საშინელ შხამს (გაიხსენეთ, ქლორს წყალში მიკროორგანიზმების მოსასპობად იყენებენ!) ადამიანს დღეში 3-4 გრამი სუფრის მარილი სჭირდება. ახლანდელ დროში კი მარილის მოხმარება ერთ ადამიანზე დღეში 20-30 გრამს შეადგენს (გამოთვალეს, რომ ადამიანი 200-ჯერ მეტ მარილს ღებულობს, ვიდრე მისი წინაპარი მაიმუნი გორილა). იაპონიას მსოფლიოში პირველი ადგილი ეკავა მარილის მოხმარების მიხედვით, მას შემდეგ, რაც იაპონელებმა მარილის მოხმარება მინიმუმამდე დაიყვანეს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით სიკვდილიანობა სულ 10 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში პირველი ადგილიდან მე-15 ადგილზე გადავიდა.

სცადეთ: თუნდაც 2 კვირის განმავლობაში მიიღეთ უმარილო საკვები. 2 კვირის შემდეგ საკვები მცირეოდენი მარილის დამატებითაც უკვე მლაშე მოგეჩვენებათ. პირველ ხანებში (მარილის აკრძალვიდან) ორგანიზმი ცდილობს განთავისუფლდეს მასში დაგროვილი მარაგისაგან (ხშირი შარდვა) გაწმენდის კვალდაკვალ ეს მოვლენები გადის. საჭირო მცირე რაოდენობით მარილი კი მაინც მოხვდება ორგანიზმში, თუნდაც პურის სახით.

ორგანიზმისათვის უვნებელი სუფთა მარილის მომზადების წესი:

მეთოდი №1. ზღვის მარილი ჩავაროთ ქილაში, დავასხათ მდუღარე წყალი იმ რაოდენობით, რომ ის გაიხსნას, ხსნარი გავფილტროთ დოლბანდში. გაფილტრული მარილიანი ხსნარი ვადუღოთ ემალის ჭურჭელში ნელ ცეცხლზე. წყალი აორთქლდება და ჭურჭლის კედლებზე დარჩება სუფთა, თეთრი ზღვის მარილი. მასში ორგანიზმისათვის აუცილებელი 64 მიკროელემენტი შედის, მათ შორის იოდიც. მიღებული მარილი გამოვიყენოთ კულინარიაში სუფრის მარილის ნაცვლად.

მეთოდი №2 – მარილის შემცვლელი სანელებელი სადილისათვის.

ავთქვიფოთ 2-3 ცალი კვერცხის გული, ჩავასხათ მასში თანდათანობით 2-3 სუფრის კოვზი მზესუმზირის ზეთი, დავუმატოთ 1 ჩაის კოვზი გახეხილი ხახვი (შეიძლება 1 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ნიახურის, ან ოხრახუშის, ან კამის დამატებაც). ყოველივე ეს კარგად ავურიოთ 1 სუფრის კოვზ ლიმონის წვენში.

მეთოდი №3 – მარილის შემცვლელი სანელებელი სადილისათვის.

250 გ მზესუმზირის ზეთს შევურიოთ 1 ლიმონის წვენი (ზეთი ჩანგლით ვურიოთ, თან ცოტ-ცოტად დავუმატოთ ლიმონის წვენი), 1-2 ნაწილი წვრილად დაჭრილი ნიორი, მდოგვის ფხვნილი (დანის წვერზე). ყველაფერი ეს კარგად ავურიოთ.

შებოლილი ნაწარმი და ყველა სახის ძეხვი

მავნებლობის დასაბუთება:

შებოლილი ნაწარმი ძალზე მავნებელია, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, 80-იანი წლების დასაწყისში იაპონიაში დიდი რაოდენობით შებოლილი თევზის მოხმარების გამო ძალზე გავრცელდა საჭმლის მომნელებელი სისტემის ოროგანოების კიბო.

მსგავსი კანცეროგენური თვისებები გააჩნია ყველა სახის ძეხვეულობას. დამატებით ისიც აღსანიშნავია, რომ ძეხვებს ფერის მისაცემად უმატებენ ნიტრატებს, აგრეთვე სხვადასხვა სახის ემულგატორებს, ანტიოქსიდანტებს. შეიძლება ზოგიერთმა თქვას, რომ ეს ქიმიური ნივთიერებები ნორმის ფარგლებშია, ან ძალზე მცირეაო (მაგალითად, ნიტრატების დასაშვები დოზაა: 100 გრამ ხორცზე 20 მილიგრამი ნიტრატი ანუ სულ რაღაც 0,02%). თითქოს არაფერია, მაგრამ გერმანელი ბიოლოგების დასკვნით, ადამიანი საშუალოდ წლის განმავლობაში ღებულობს 16-ჯერ მეტ საკვებს, ვიდრე თვითონ იწონის. შედეგად ეს მიკროდოზები წლის განმავლობაში ქმნიან მძლავრ მომშხამველ ნაკადს, რომლის უვნებელყოფა შეუძლია მხოლოდ ახალგაზრდა, ძლიერ ორგანიზმს, ისიც თავისი სასიცოცხლო ძალების დახარჯვის შედეგად.

ცხიმში შემწვარი კერძები

მავნებლობის დასაბუთება:

გარკვეული დოზებით ცხიმები ორგანიზმისათვის აუცილებელია – ის ხომ ენერგიის წყაროა, მაგრამ, როცა ჩვენ ტაფაზე ვდებთ ცხიმს (არა აქვს მნიშვნელობა, ცხოველური იქნება ის თუ მცენარეული ზეთი) და ამ ცხიმში ეწვავთ რაიმე პროდუქტს, წვისას განვითარებული მაღალი ტემპერატურა (200 გრ. C-მდე) ყველანაირ ცხიმს შლის და გარდაქმნის მავნე ნივთიერებებად (აკროლეინი და მისი მსგავსი ნაერთები). ეს ნივთიერებები შხამებია, რომელთაც კიბოს, უკეთეს შემთხვევაში კი სხვადასხვა დაავადებების გამოწვევა შეუძლიათ. მაშინ როგორღა ვართ ცოცხალი? იმიტომ, რომ ამ შხამებს ღვიძლი ანეიტრალებს. მაგრამ სანამ შეუძლია ღვიძლს ასეთი დატვირთვის ატანა ან არ გამოვა განა ის მწყობრიდან? პასუხი თქვენთვის მოგვინდეია. შემთხვევითი როდია, რომ ყველა ცივილიზებული ქვეყანა გადავიდა ტეფლონით დაფარული ტაფების ხმარებაზე. ასეთი სახის ტაფა საკვებს წვისას არ იკრავს და ცხიმის გამოყენება საერთოდ არ არის საჭირო.

ცხიმიანი ხორცის პროდუქტები

მავნებლობის დასაბუთება:

კვების რაციონის გადატვირთვა ცხოველური ცხიმებით იწვევს სისხლძარღვების „დაცობას“ ცვილის მსგავსი ქოლესტერინის ნაწილაკებით, რომლებიც არტერიების კედლებზე ილექებიან. დიეტოლოგები გვირჩევენ: ხორცის კულინარული მომზადების წინ მას გულმოდგინედ მოვაშოროთ ცხიმის შემცველი უბნები.

რაფინირებული ზეთი. მარგარინი

მავნებლობის დასაბუთება:

არარაფინირებული („სოფლის“) მზესუმზირის ზეთი შესანიშნავი პროდუქტია. მაგრამ რაფინირინებული მზესუმზირის ზეთი კი არ შეიცავს მიკროელემენტებს, ვიტამინებს. ამასთანავე რაფინირებულ ზეთში ცხიმოვანი მჟავები ადვილად იუანგებიან და ზეთში გროვდება ჟანგვის პროდუქტები, რომლებიც იწვევენ მის გაფუჭებას.

მარგარინი – ჰიდროგენიზირებული ცხიმია. ის ძალზე სახიფათოა ორგანიზმისათვის. მარგარინი შეიძლება მაცივარში შეინახოს 10 წელიც კი! ის არ მწარდება, რადგანაც ჟანგბადის მიმართ მდგრადია. ესაა „დაბალზამირებული“ პროდუქტი, რომელიც არ დნება სხეულის ტემპერატურის გავლენით. დამტკიცებულია, რომ მარგარინის მოხმარება კიბოს წარმოშობის რისკ-ფაქტორია.

ყავა

მავნებლობის დასაბუთება:

ყავას ჩვეულებრივ იმისთვის სვამენ, რომ მოიხსნან დაღლილობა, ძილიანობა, გაზარდონ შრომისუნარიანობა. განსაკუთრებით ეტანებიან დაბალი წნევის ადამიანები.

ყავაში შემავალი კოფეინი ასტიმულირებს თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მარეგულირებელი ცენტრების აქტივობას, აძლიერებს გულის კუნთის შეკუმშვის ძალას და სიხშირეს, ხელს უწყობს წნევის მომატებას.

მაგრამ ამასთანავე აღმოჩნდა, რომ კოფეინის ზომიერი დოზაც კი მავნებელია გულის კუნთისათვის. გამოვლენილია პირდაპირი დამოკიდებულება მიღებული ყავის რაოდენობასა და გულის კუნთის ინფარქტის წარმოშობას შორის. ამერიკელმა იენსენმა დაადგინა: ყოველდღე 1 ფინჯანი ყავის მიღებაც კი იწვევს არა მარტო გულში, არამედ სხვა ორგანოებში უარყოფით ქიმიურ პროცესებს. ყავა არ შეიცავს არავითარ საკვებ ნივთიერებებს, ხოლო მასში შემავალი ტანინები კი აფერხებენ ორგანიზმის მიერ ცილების ათვისებას და „პარაევენ“ ორგანიზმს საჭირო მინერალებს და ვიტამინებს (პირველ რიგში – რკინას, კალციუმს და B ჯგუფის ვიტამინებს).

ახლახან გერმანულ პრესაში გამოქვეყნდა სენსაციური ინფორმაცია: როდესაც გამოიკვლიეს გერმანულ სუპერმარკეტებში გასაყიდად გამოტანილი ყავის ნიმუშები, მათგან 70% აღმოჩნდა ერთ-ერთი სარეველა მცენარის უძლიერესი შხამის შემცველი. დადგინდა, რომ ეს შხამი ყავის მარცვლებთან ერთად ხვდება მისი მოკრეფის დროს. თვით ყავის მარცვლების გადამუშავება, მოხალვაც კი ამ შხამს ვერ სპობს. ეს შხამი ყავის ნაყენიდან ორგანიზმში გადადის, წამლავს მთელ ორგანიზმს, განსაკუთრებით კი „ანგრევს“ ნერვულ სისტემას. თუკი ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორიც გერმანიაა, ასეთი ყავა ხვდება, თანაც 70%, რა უნდა ითქვას სანიტარულად დაუცველ საქართველოზე?

ყავის შემცველი სასარგებლო პროდუქტი:

გერმანელები, ესტონელები, შვედები ტრადიციულად ყავას ვარდკაჭაჭასთან ერთად სვამენ, რადგანაც ცნობილია, რომ ის გარკვეულწილად ანეიტრალებს ყავის უარყოფით გავლენას.

ვარდკაჭაჭა იხარშება ისე, როგორც ყავა, მხოლოდ მცენარე და წყალი თანაბარი რაოდენობით უნდა ავიღოთ. თუკი დილით უზმოზე შევსვამთ ფინჯან ვარკაჭაჭას ნაყენს თაფლთან და ლიმონთან ერთად,ეს დაგვიცავს ჰიპერტონიის განვითარებისაგან.

ვარდკაჭაჭას ერთადერთი ნაკლი – ხველის გამოწვევაა, ან გაძლიერება – ადვილად სწორდება თაფლის გამოყენებით.

კაკაო. შოკოლადი. „კოკა-კოლა“. „პეპსი-კოლა“

მავნებლობის დასაბუთება:

ის, რაც დაგწერეთ ყავაზე, მთლიანად ეხება ზემოთჩამოთვლილ პროდუქტებს.

რაც შეეხება „კოკა-კოლას“ და „პეპსი-კოლას“ – პოლ ბრეგის სიტყვებით, ეს სასმელები შედგება სამი არცთუ უვნებელი სტიმულატორისაგან – კოფეინი, ფოსფორმჟავა, რაფინირებული შაქარი და აგრეთვე გაზირებული წყლისაგან, რომლებიც აღიზიანებს თირკმელებს და ღვიძლს.

შავი ჩაი

მავნებლობის დასაბუთება:

შავ ჩაის ყავის მსგავსი თვისებები გააჩნია.

ალკოჰოლური სასმელები (სისტემატური ან ჭარბი მოხმარება)

მავნებლობის დასაბუთება:

მცირე დოზით ალკოჰოლური სასმელები სასარგებლოც კი არის ორგანიზმისათვის (იხ. „სამკურნალო წიგნი“, ტ. II, გვ. 14), მაგრამ მათი სისტემატური ან ჭარბად მოხმარება თუ რატომაა ჯანმრთელობისათვის მავნე, ეს საკითხი ყველასათვის კარგადაა ცნობილი, ამიტომაც ამაზე არ შეეჩერდებით.

პრაქტიკულად ყველა სახის კანფეტი. განსაკუთრებით კარამელი

მავნებლობის დასაბუთება:

კანფეტები პრაქტიკულად არაფერს არ აძლევს ორგანიზმს, მაგრამ მათ ზიანის მოტანაც შეუძლიათ, რადგანაც მათ ფერის მისაცემად უმატებენ კვებით საღებავებს. როცა საკონდიტრო საქმე წარმოიშვა, საღებავებად ხმარობდნენ ზოგიერთი ეგზოტიკური მცენარისაგან მიღებულ ბუნებრივ საღებავს, რაც სრულიად უვნებელი იყო. ახლა კი მათ ნაცვლად გამოიყენება ხელოვნური, ქიმიურად სინთეზირებული საღებავები (მაგალითად: ინდიგოკარმინი, ტატრაზინი). ჩვენ თვით კანფეტების წინააღმდეგი კი არა ვართ , არამედ სწორედ ამ ქიმიური კვებითი საღებავების – როგორც კიბოს გამომწვევი ნივთიერებებისა.

კონსერვები და კონსერვირებული პროდუქტები

მავნებლობის დასაბუთება:

ნებისმიერი ქარხნული კონსერვირებული პროდუქტი მავნეა, რადგანაც მათ შემადგენლობაში შეჰყავთ კონსერვანტები (სპეციალური ქიმიური ნივთიერებები). რაც შეეხება ოჯახურ კონსერვებს, მათ ზიანი შეიძლება არ მოგვიტანონ, მაგრამ უბრალოდ სრულიად უსარგებლოა, თერმული დამუშავებით მათში პრაქტიკულად არანაირი ვიტამინები და სხვა სასარგებლო ნივთიერებები არ რჩება.

შ. საბახტარაშვილი

„სამკურნალო წიგნი“

აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

მიხედვით, შესაძლოა იყოს ავტომატიზებული დანაწილებული ველები, ტრენაჟორები, ზონების იმიტატორები, სატელევიზიო აპარატურა, მიმღებ-მარეგისტრირებელი მოწყობილობები და გადამწოდები. ყოველივე ეს შესაძლებელია, გაერთიანებული იყოს სამიზნე ვითარების ელემენტების მართვასა და სწავლების მსვლელობაზე კონტროლის ზოგად სისტემაში.

ROTC კურსების დასრულების შემდეგ (რაც ემთხვევა უნივერსიტეტსა და კოლეჯებში სწავლის დასრულებას) გამოშვებულნი უმაღლესი განათლების დიპლომთან ერთად ღებულობენ რეზერვის ოფიცერთა ჯარსგარეშე მომზადების კურსების დიპლომსაც რეზერვის მეორე ლეიტენანტის სამხედრო წოდების მინიჭებით. ამის შემდეგ ახალგაზრდა ოფიცრები, არსებული ვაკანსიების მიხედვით, ვალდებულნი არიან, ორი წელი იმსახურონ რეგულარულ ჯარებში და შემდეგ ოთხი – მზადმყოფ რეზერვში (არმიის ეროვნულ გვარდიაში ან რეზერვში). ოფიცრების სურვილის მიხედვით შესაძლებელია სავალდებულო სამხედრო სამსახურში უფრო მკაცრი და გაელენიანი კონტრაქტების გაფორმებაც. კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ოფიცრებს შეუძლიათ გადავიდნენ სამოქალაქო სექტორში ან გააგრძელონ სამხედრო სამსახური.

ვესთ-ფოინტის სამხედრო აკადემიის მსგავსად **ROTC** კურსებიც მსმენელებს აძლევს ზოგადსაჯარისო მომზადებას, რომლის შემდეგაც ისინი თავად ირჩევენ სასურველ სამხედრო-სააღჭურვო სპეციალობას და პირველ საოფიცრო თანამდებობაზე დანიშვნის წინ იგზავნებიან არმიის ჯართა გვარეობების და სამსახურების სასწავლო ცენტრებში (სკოლებში) სპეციალიზაციის დამატებითი კურსის გასავლელად. აღნიშნული კურსის დასრულების შემდეგ მეორე ლეიტენანტებსა და რეზერვის მეორე ლეიტენანტებს შედგომი სამსახურის გასავლელად უშვებენ რეგულარული ჯარების ან მზადმყოფი რეზერვის ნაწილებში ოცეულების მეთაურებად ან სხვა შესაბამის თანამდებობეზე. ამის შემდეგ მათი პროფესიული სრულყოფა და სამსახურეობრივი ზრდა მიმდინარეობს როგორც ჯარებსა და შტაბებში ყოველდღიური სამხედრო სამსახურის გავლისას, ისე მრავალრიცხოვან საჯარისო და სამეთაურო-საშტაბო სწავლებებში მონაწილეობით. გარდა ამისა, აშშ სახმელეთო ჯარების ოფიცრები თავიანთი სამსახურის მანძილზე არაერთხელ გადიან მომზადებას და გადამზადებას შესაბამისი რანგის კურსებზე ან სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში.

(გაგრძელება გვ. 8)

ისტორიის უცნობი ფურცელი

მღვდელი - თევდორე საგანელიძე

მამა თევდორე (ერისკაცობაში თევდორე ყარამანის ძე საგანელიძე) დაიბადა 1883 წელს, კვაცხუთში. პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გააგრძელა. ჰუმანიტარული განათლება პეტერბურგში მიიღო, თუმცა რომელი ფაკულტეტი დაამთავრა, უცნობია. მან რაჭაში სოფელ სხვავაში რუსულის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. სხვავის მოსახლეობის მოთხოვნით მღვდლად უკურთხებიათ სხვავის წმინდა გიორგის ეკლესიაში და სიცოცხლის ბოლომდე იქ მოღვაწეობდა. ზნეკეთილობით განთქმული მასწავლებელი ჭეშმარიტი სიტყვის ქადაგებით ცნობილი მღვდელი გამხდარა.

აკაკი სტუმრად რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს

სურათზე: მღვდელი თევდორე საგანელიძე, მასწავლებელი სანდრო ამირეჯიბი, რუბენ გოცირიძე, შამშე ლუკავა, სანდრო კვიტაშვილი, ლონგინოზ კიკვიძე, ვანო ბაქრაძე.

კვაცხუთიდან სხვავამდე რამდენიმე ათეული კილომეტრი იყო, მამა თევდორემ გაჭირვებული ბავშვებისათვის თავის სახლში გახსნა სკოლა, სადაც ბავშვები მეზობელი სოფლებიდანაც მოდიოდნენ. ბოლო დრომდე, მიწისძვრამდე, მის სახლში დაუზიანებლად იყო შემორჩენილი ის მაგიდა, სადაც ბავშვებს თავიანთი სახელები და გვარები ჰქონდათ ჩამოწერილი, რომელთა რიცხვიც 60-ს აღემატებოდა. ბევრი მათგანი შემდეგში ცნობილი და სახელოვანი პიროვნება გახდა.

თევდორეს ყველა რჩევას ეკითხებოდა. იმ ხანებში რაჭაში არ წამოწყებულა რაიმე მნიშვნელოვანი საქმე, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი მამა თევდორე არ ყოფილიყო. იგი დიდი ეროვნული მოღვაწე და ყველა პატრიოტული საქმის მხარდამჭერი იყო. მამა თევდორეს დიდი გულისტკივილი გამოიწვია თავისუფალი საქართველოს იძულებითმა გასაბჭოებამ, რომელმაც უამრავი ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. ამ ფაქტს უკავშირდება მისი საოცრად ეროვნული და ტკივილით აღსავსე ლექსი – „შავი ყორნები საფლავს გვითხრიან“.

უშიშარი და პირდაპირი მამა თევდორე ერთხელ რაჭის მაზრის იმჟამინდელ ცენტრში – ონში, ცნობილ საბჭოთა ჩინოვნიკს შეხვდა, რომელიც რაჭიდან იყო წარმოშობით. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგი მოსკოვში გადაიყვანეს და იქ გახდა საკავშირო მნიშვნელობის დიდი მოხელე. მას მამა თევდორესთან ქვეყნის მდგომარეობაზე, მის წარსულსა და მომავალზე უსაუბრია. მამა თევდორეს განსწავლულობით განცვიფრებულ მოხელეს სუფრაზე სადღეგრძელო უთქვამს: თევდორე, ზურგს ვაქცევ შენს მღვდლობას და გადღეგრძელებ როგორც დიდ პიროვნებას. მამა თევდორეს ჯერი რომ დამდგარა, მას ასე მიუმართავს ჩინოვნიკისათვის: „შენ რომ ერთი ნაკლი არ გქონდეს, საქართველოსთვის მართლაც კარგს გააკეთებდი, ზურგს ვაქცევ შენს კომუნისტობას და გადღეგრძელებ როგორც კარგ კაცსო!“

მამა თევდორე დიდი იმედით შეჰყურებდა საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის თანამზრახველთა ბირთვის შეკრას ქაქუცა ჩოლოყაშვილის ირგვლივ. რაჭაში შეკრებილ შეფიცულებს მჭიდრო კავშირი ჰქონიათ მამა თევდორესთან. ისიც ქართველ რაინდებს მაქსიმალურად ეხმარებოდა და მზრუნველობას არ აკლებდა. მამა თევდორეს აღაფრთოვანებდა მაშინდელი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, შემდგომში (1995 წ.) საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული წმინდა მღვდელ-მთავრის, ამბროსი ხელაიას ეროვნული თავდადების წინამძღვრული მაგალითი. მამა თევდორე მუდამ სიხარულით იხსენებდა, რომ ამბროსი ხელაიამაც სასულიერო მოღვაწეობა რაჭაში – ცნობილი ჭელიშის მონასტერში დაიწყო არქიმანდრიტად და მისი დამოკიდებულება ქუქუცასა და შეფიცულთა რაზმისადმი კარგად იცოდა. „თქვენ ოღონდ დაიწყეთ და მე ჯვრით ხელში გაგიძღვებითო“, – პატრიარქის ეს სიტყვები აღაფრთოვანებდა თურმე მამა თევდორეს და მიუხედავად მთავარ-გზის აკრძალვისა, იგი კვლავ უშიშრად აგრძელებდა მღვდელმსახურებას, იმდროინდელ ხელისუფალთა ბრძანებით, საეკლესიო ქონება და მისი სიწმინდეები სახელმწიფო საკუთრებად ცხადდებოდა. ეკლესიები უნდა დაენგრიათ ან სხვა დაწესებულებებად გადაეკეთებინათ, მღვდლები უნდა გამოსულიყვნენ ტაძრებიდან და შეეწყვიტათ სასულიერო მოღვაწეობა, მაგრამ მამა თევდორემ არ შეწყვიტა მსახურება. ხელისუფლების იმდროინდელ წარმომადგენლებსა და მამა თევდორეს შორის ურთიერთდაპირისპირებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. რამდენიმეჯერ მკაცრად გააფრთხილეს მოძღვარი, სახლიდან შემოსილი არ გამოსულიყო. 1924 წლის აგვისტოში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების – მარიამობის წინა დღეებში – მამა თევდორეს ნათლული – პატარა ბავშვი გარდაიცვალა. დასაფლავების დღეს მოძღვარი, ჯვრითა და საცეცხლურით ხელში პროცესიას მიუძღვებოდა. პოლიციამ იქვე დააპატიმრა მამა თევდორე და ამბროლაურიდან მაზრის ცენტრში, ონში წაიყვანა. მასთან ერთად სხვებიც იყვნენ დაპატიმრებული. გზაში ბადრაგი პატიმრებს კადნიერად ექცეოდა. მოძღვრის შენიშვნაზე, ღირსეულად მოქცეულიყო, ბადრაგს მეტი უმსგავსობა გამოუმჟღავნებია. თევდორემ გათავხედებულ მცველს ხელები დაუჭირა და იარაღი აართვა. შეშინებული კაცი მუდარით სავსე თვალებით შეჰყურებდა მღვდელს, ეგონა მოკლავდა. პატიმრები სთხოვდნენ მამა თევდორეს, რომ ესროლა მისთვის და გაქცეულიყვნენ წესურის მთებში, სადაც შეფიცულები იმყოფებოდნენ, მაგრამ მან იარაღი დაუბრუნა მცველს და თქვა: „ამას ვაჟკაცი კაცი როგორ ესვრის. თანაც მღვდელი ვარ და სიკვდილის ნაცვლად მარადიულ სიცოცხლეს უნდა ვაზიარო ყველა, ვინც თავისი ნებით ამ გზას აირჩევსო“. ონამდე მცველი თავდახრილი მიჰყვებოდა პატიმრებს, ონში მისვლისას იმდროინდელი მაზრის [illegible] შესული მოძღვრისათვის წვერში წაუვლია ხელი და ცინიკურად მიუმართავს: „მღვდელო, მოხვედი შენი ფეხით ჩემს კაბინეტში, ვნახოთ ერთი, რა შეგიძლიაო?“ მამა თევდორეს ისეთი პასუხი მიუცია, ძნელად თუ დაავიწყდებოდა მას თავის სიცოცხლეში. იმ დღეს, 26 აგვისტოს, თბილისიდან ბრძანება მოვიდა, რომ შეეწყვიტათ პატიმართა დახვრეტა. ბრძანების მიღება სპეციალურად მეორე დღის რიცხვით, 27-ით გაატარეს და გამთენიისას, დილის 5 საათზე ონში, პატარა მდინარე ჭალულას ნაპირთან, სადაც ახალი ხიდის გასამართად ბურჯები იყო ამოყვანილი, მიიყვანეს პატიმრები და დახვრიტეს.

გზაში მცველმა, რომელიც მამა თევდორემ სიკვდილისგან იხსნა, მოძღვარს გაქცევა შესთავაზა: ჯერ კიდევ ბნელა, გაიქეცი, მე ჰაერში ვისვრი, ვითომ აგაცილე და სადმე მიიმალეო, ამაღამ ძებნას მაინც არ დაგიწყებენ და გადარჩებიო. მაგრამ ამ ხალხს როგორ ვუღალატო, თან შენც ოჯახთან ერთად კარგი დღე არ დაგადგებაო, უთქვამს მამა თევდორეს. იგი მტკიცედ მივიდა განაჩენის აღსასრულებელ ადგილამდე. გზაშიც და განაჩენის აღსრულებისას მამა თევდორე გალობდა თურმე. მკვლელს, რომელმაც აღასრულა განაჩენი, სამჯერ ჩამოუღია დამიზნებული იარაღი, ვერ ბედავდა თურმე ტკბილად მგალობელი მოძღვრის მოკვლას. მამა თევდორეს შეუწყვეტია გალობა და უთქვამს: მესროლე, ჩემს გალობას თუ უსმინე, მე მთელი დღე შემიძლია ვიგალობო და შენ შენს საქმეს ვერ აღასრულებო...

მოწამეობრივად აღსრულებული ტკბილმგალობელი მოძღვრის წმ. ნაწილები ოჯახის წევრებს არ გაატანეს და იქვე ჩაფლეს მიწაში.

(დასაწყისი გვ. 6-7)

აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

მეორე ლეიტენანტის წოდებაში (ოფიცერთა ოცეულის მეთაურად) 1,5-2 წლის მანძილზე რაიმე სერიოზული სასჯელის გარეშე საძსახურის გაელის შემდეგ და შესაბამისი ვაკანსიების არსებობისას, მეთაურის წარდგინებით ოფიცერს ანიჭებენ შემდგომ სამხედრო წოდებას „პირველი ლეიტენანტი“ და გადაჰყავთ ზემდგომ თანამდებობაზე (ოცეულის მეთაურის მოადგილედ ან ასეულის მართვის ჯგუფში). უფრო მაღალ სამხედრო წოდებებს „კაპიტნიდან“ „გენერალ-მაიორამდე“ ანიჭებენ ერთი ან მეტი წოდებით უფრო მაღალი კატეგორიის ოფიცრებისგან დაკომპლექტებული სპეციალური კომისიები.

პირველი ლეიტენანტის წოდებაში (შესაბამის თანამდებობაზე) სამსახურის 3,5-4 წლის შემდეგ ოფიცრებს ზემოთ აღნიშნული წესით შესაძლოა, მიანიჭონ კაპიტნის სამხედრო წოდება და გადაიყვანონ ასეულის მეთაურის მოადგილედ, ასეულის მეთაურად ან ბატალიონის შტაბში რომელიმე განყოფილების უფროსად. თანაც ოფიცრების ზემდგომ წოდებაზე წარდგენას ახდენენ ორი კატეგორიის მიხედვით: ა) რეკომენდირებულია სავსებით და ბ) რეკომენდირებულია პირველ რიგში მომდევნო წოდების მისანიჭებლად.

სამხედრო მოსამსახურეთა კატეგორიები	წლების ნამსახურება						
	2-მდე	2	4	8	12	16	20
	უმაღლესი ოფიცრები						
გენერალი	5710,8	5911,8	5911,8	6138,3	6291,6	6291,6	6291,6
გენერალ-ლეიტენანტი	5061,3	5193,9	5304,3	5439,3	5665,8	6138,3	6291,6
გენერალ მაიორი	4584,3	4721,4	4833,6	5193,9	5439,3	5665,8	6138,3
	უფროსი ოფიცრები						
პოლკოვნიკი	2823,3	3102,0	3305,1	3305,1	3305,1	3957,6	4250,4
ვიცე-პოლკოვნიკი	2257,8	2651,4	2834,7	2834,7	3077,4	3528,5	3845,1
მაიორი	2903,5	2317,8	2472,3	2629,2	2966,4	3237,9	3327,6
	უმცროსი ოფიცრები						
კაპიტანი	1768,8	2977,6	2339,1	2538,9	2808,6	2877,9	2877,8
პირველი ლეიტენანტი	1542,3	1684,5	2091,6	2135,4	2135,4	2135,4	2135,4
მეორე ლეიტენანტი	1338,9	1394,1	1684,5	1684,5	1684,5	1684,5	1684,5

აშშ არმიის ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ოფიცრების პროფესიულ აღზრდას და დაწინაურებას როგორც ფინანსურ-წამახალისებელი, ისე იძულებითი ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით. პირველი ნათლად ჩანს ცხრილიდან, რომელშიც მოყვანილია აშშ შეიარაღებული ძალების ოფიცერთა ძირითადი ხელფასები 1989 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. მასში ნაჩვენებია, რომ კონკრეტულ სამხედრო წოდებაში გარკვეული ვადით ნამსახურების შემდეგ ოფიცრის ხელფასი იყინება, თუკი იგი თავად არ იზრუნებს თავისი კვალიფიკაციის ამაღლების და სამსახურში დაწინაურების თაობაზე.

ოფიცრის სამსახურეობრივი წინსვლის აუცილებელი პირობაა განათლების დონის და პროფესიონალიზმის მუდმივად ამაღლება, რისთვისაც აშშ არმიაში ორგანიზებულია სწავლება სხვადასხვა რანგის სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში და ამ დაწესებულებების უფლებების მქონე კურსებზე. სახელდობრ, უმცროს ოფიცერთა შემადგენლობის სრულყოფას (კაპიტნის ჩათვლით) ახორციელებენ ჯარებში სამსახურის 6-8 წლის შემდეგ, რაც მიზნად ისახავს ოფიცრების მომზადებას „ბატალიონის“ რგოლში სამეთაურო-საშტაბო თანამდებობებზე შემდგომი სამსახურისთვის. კურსის ხანგრძლივობა დამოკიდებულია პირველ რიგში ოფიცრის სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობაზე და საშუალოდ შეადგენს 3-დან 9,5 თვემდე.

(დასასრული იქნება)

ირაკლი ხართიშვილი

მთავარი რედაქტორი
მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ № 06/4-444
ტელ: 93-15-89

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.